

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს



ბრძანებათა და ინსტრუქციათა

# კრებულში СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

F-171  
1968

3

მარტი

Контрольный экземпляр



თბილისი—1968



**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ. 13 თებერვლის ბრძანება № 121**

**1966/67 სასწავლო წლის შედეგებისა და 1967/68 სასწავლო წლის დაწყების შესახებ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში**

1966/67 სასწავლო წლის შედეგებისა და ახალი—1967/68 სასწავლო წლის დაწყების შესახებ სტატისტიკური მონაცემები და სამინისტროში არსებული საინსპექტორო მონაკვეთები ადასტულებენ, რომ სახალხო განათლების ორგანოებმა და სკოლებმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულების, სწავლა-აღზრდის საქმის შემდგომი გაუმჯობესების, სასკოლო ქსელის გაფართოებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის.

მოსწავლეთა კონტინენტის სახალხო-სამეურნეო გეგმა, I—VIII კლასებში შესრულებულია გადამეტებით. გეგმით ამ კლასებში გათვალისწინებული იყო 771.700 ბავშვისა და მოზარდის ჩაბმა, ფაქტიურად ჩაბმულია 775.383 მოსწავლე, ე. ი. 3.683-ით მეტი.

მნიშვნელოვანი ღონისძიებანია გატარებული სასკოლო ქსელის მოწესრიგების საქმეში. 1967 წლის პირველი სექტემბრისათვის რესპუბლიკაში მოქმედებდა 4.220 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, მათ შორის დაწყებითი—1.696, რვაწლიანი—1.215, საშუალო—1.309. ახალი სასწავლო წლისათვის წინა წელთან შედარებით დაწყებითი სკოლები შემცირდა 74-ით, რვაწლიანი—27-ით, ხოლო საშუალო სკოლები გაიზარდა 63-ით.

სწავლა-აღზრდის საქმეს დიდად შეუწყო ხელი აგრეთვე სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებამ. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე რესპუბლიკას შეემატა 164 სასკოლო შენობა. აჭარის ასსრ-ში, თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ზუგდიდის, თელავის, მახარაძის, ცხაკაიას, გურჯაანის, ქობულეთის, ჩხორო-

წყუს და სხვა ქალაქებსა და რაიონებში საწარმოებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკანასკნელი 2—3 წლის განმავლობაში სასკოლო ქსელს შემატეს ათობით კეთილმოწყობის შენობა.

მიუხედავად აღნიშნული მიღწევებისა, სახალხო განათლების დარგში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. რიგ რაიონებში სათანადო მუშაობა არ ტარდება საყოველთაო-სავალდებულო განათლების განხორციელებისათვის. 1967/68 სასწავლო წლის დასაწყისის სკოლის გარეთ დარჩენილი იყო 2.842 ბავშვი და მოზარდი, მათ შორის ავადმყოფობის გამო—683, უსინათლო—89, ყრუ-მუნჯი—3.599, გონებით ჩამორჩენილი — 1.079, სხვადასხვა მიზეზით—632.

დიდია სკოლებიდან განთესილ მოსწავლეთა რაოდენობა. 1966/67 სასწავლო წლის მანძილზე სკოლა დატოვა 7.786 მოსწავლემ და ამათგან საგრძნობი ნაწილი არსად არ სწავლობს.

სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად კვლავ რჩება მეორეწლიანობა. 1966/67 სასწავლო წლის შედეგების მიხედვით იმავე კლასებში დატოვებულ იქნა 38.596 მოსწავლე, ე. ი. მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 4,3 პროცენტი. ამ რაოდენობიდან სკოლას არ დაბრუნებია 2.424 მოსწავლე. მეორეწლიანთა უფრო მეტი რაოდენობა მოდის მეხუთე (6,6%) და მეშვიდე (5,1%) კლასებზე.

მეორეწლიანობა შედარებით უფრო დიდია აფხაზეთის ასსრ-ში (7,5%), აჭარის ასსრ-ში (5,9%), ქ. ჭიათურაში (7,9%), მესტიის (7,9%), ლენტეხის (7,7%), წალკის (7%), თიანეთის (6,5%) გარდაბნის (5,8%), ონის (5,3%) რაიონებში, მაშინ, როდესაც აბაშის, ცხაკაიას, ვანის, მაიაკოვსკის, ხობის, ზუგდიდის რაიონებსა და ქ. ქუთაისში იგი არ აღემატება საშუალოდ 1,5 პროცენტს.

სწავლა-აღზრდის საქმეზე უარყოფითად მოქმედებს მეცადინეობის მრავალცვლიანობა. ამჟამად რესპუბლიკის სკოლებში მეორე ცვლაში მეცადინეობს 210.166 მოსწავლე, მესამე ცვლაში — 2.813. მოსწავლეთა რაოდენობა, რომელიც მეორე და მესამე ცვლებში მეცადინეობს, მიმდინარე სასწავლო წელს გადიდა 23,2%-დან 23,6%-მდე.

მეცადინეობის ცვლიანობა განსაკუთრებით დიდია ასპინძის რაიონში, სადაც მეორე ცვლაში მეცადინეობს 1.180 მოსწავლე

(40%), ბოლნისის რაიონში—6.408—(43%), ბოგდანოვკის რ-ში—3.896—(39,9%), ქ. თბილისში—47.651 (37,2%), ქ. ქუთაისში—8.103—(31,7%), ქ. ფოთში—2.780 — (36,6%), ქ. რუსთაველაში—7.080—(39%), ქ. გორში—2.997—(38,4%).



სეროიზული ნაკლოვანებებით ხასიათდება შვიდწლიან ბავშვთა აღრიცხვის საქმე. აღნიშნული ასაკის ბავშვთა არასწორი აღრიცხვის შედეგად 1967 წლის სექტემბრისათვის პირველ კლასებში გამოცხადებულ ბავშვთა რაოდენობა დიდად აღემატება წინასწარ ჩატარებული აღრიცხვის მონაცემებს. ადგილი აქვს როგორც გეგმის გადამეტებით შესრულებას (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ზუგდიდი, ჩოხატაურის, ზესტაფონის და სხვა რაიონები), ისე შეუსრულებლობას (ანმეტის, მარნეულის, ლანჩხუთის, საჩხერის რაიონები).

შეუსრულებელია IX კლასებში მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა. ნაცვლად 62.644 მოსწავლისა, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული, IX კლასებში გამოცხადდა 57.204 მოსწავლე, ე. ი. 5.440 მოსწავლით ნაკლები. გეგმა ვერ შეასრულეს აფხაზეთის ასსრ-მ, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქმა, ქ. თბილისმა, ქ. ფოთმა, ახალქალაქის, ახალციხის, გარდაბნის, ანმეტის, ბოგდანოვკის, თნის, წალკის და სხვა რაიონებმა.

I—X კლასების მოსწავლეთა კონტინგენტი 1967 წლისათვის გეგმით განსაზღვრული იყო 888.900 მოსწავლით. 1967 წლის 1-ლი სექტემბრისათვის სკოლებში გამოცხადდა 884.978 მოსწავლე, ე. ი. 99,6%. მიუხედავად იმისა, რომ უმეტესმა რაიონებმა და ქალაქებმა გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს, რიგი რაიონები ამ საქმეში ჩამორჩებიან. მაგალითად, მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესრულებას დააკლდა აფხაზეთის ასსრ-ში—1.474 მოსწავლე, მარნეულის რ-ში—443 მოსწავლე, წალკის რ-ში—280, ახალქალაქის რ-ში 214, ახალციხის რ-ში—283, გეგეჰქორის რ-ში—279. ასევე ვერ შეასრულეს გეგმა ქ. ფოთმა, ქ. ჭიათურამ, ქ. ტყიბულმა, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ანმეტის, ბოლნისის, ბორჯომის, გურჯაანის, დუშეთის, ყაზბეგის, კასპის, ყვარლის, თეთრიწყაროს, თიანეთის, წყალტუბოს, წითელწყაროს, ჩოხატაურის რაიონებმა.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი ძირითადად იმის შედეგია, რომ საბალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები, სკოლები

და პედაგოგიური კოლექტივები არ ეწევიან სათანადო მუშაობას მოსწავლეთა მეორეწლიანობისა და სკოლებიდან მათი განთავსების წინააღმდეგ, არ ზრუნავენ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებაზე, შეგუებულნი არიან ნაკლოვანებებს და არ იბრძვიან მათი გამოსწორებისათვის.

ცუდადაა დაყენებული ბავშვთა აღრიცხვის საქმე მთელ რიგ რაიონებში. ზოგან, ვარდა უხარისხოდ შედგენილ საკომლო დავთრებიდან ამონაწერებისა, არავითარი სხვა საბუთი არ არსებობს. სკოლებისა და განათლების განყოფილებათა ანგარიშებში ხშირად სხვადასხვა ცნობებია მოცემული და ზოგჯერ არც ერთი ეს ცნობა სინამდვილეს არ შეესაბამება.

ნათლად შეინიშნება, რომ ყველა ამ ნაკლოვანებებს აღგილი აქვს იქ, სადაც სუსტია ხელმძღვანელობა, სადაც პედაგოგიური კოლექტივები არ იბრძვიან სწავლა-აღზრდის მაღალი დონისათვის, მასწავლებლები არ ქმნიან ინტერესს სწავლისადმი და უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

სკოლების დიდ ნაწილში არაა შექმნილი პირობები სწავლების ფორმებისა და მეთოდების გაუმჯობესებისათვის, კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა მაქსიმალურად გამოყენებისათვის, არ წარმოებს თვითნაკეთი ხელსაწყობისა და დიდაქტიკური მასალების დამზადება და სწავლების პროცესში მათი გამოყენება.

არაღამაკმაყოფილებლად სრულდება გახანგრძლივებულ დღის სკოლებსა და ჯგუფებში მოსწავლეთა ჩაბმა, შეუსრულებელია მიმდინარე წლის გეგმა, ნაცვლად 28 ათასი მოსწავლისა, მათში გაერთიანებულია მხოლოდ 26.200 მოსწავლე. სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს სასკოლო ინტერნატები, რომლებიც ვერც რაოდენობით და ვერც კეთილმოწყობით ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებებს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

—1966/67 სასწავლო წლის შედეგებისა და 1967/68 სასწავლო წლის დაწყების საანგარიშო მონაცემების ანალიზის საფუძველზე დასახონ ოპერატიული ღონისძიებანი უმოკლეს ვადებში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

—უზრუნველყონ სისტემატური დახმარება და კონტროლი სკოლების მუშაობაზე, აამაღლონ სკოლის ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა პასუხისმგებლობა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მკვეთრად ამაღლებისა და მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის დანერგვისათვის;

—1966—1970 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად უზრუნველყონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელის გაშლა, მოსწავლეთა კონტინგენტის ზრდა და სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცება;

—განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საყოველთაო-ხავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელებასა და ათწლიან საყოველთაო განათლებაზე გადასვლისათვის პირობების მომზადებას;

გადამკრელი ზომები მიიღონ მეორეწლიანობის მკვეთრად შემცირებისა და მოსწავლეთა განთესვის აღმოფხვრისათვის. I—VIII კლასების ყოველი მოსწავლის უმიზეზოდ ვასვლა განიხილონ როგორც განსაკუთრებული შემთხვევა და იგი დაშვებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე სხვა სკოლაში მოეწყობა;

—შესწავლილ იქნეს შეიღწლიან მოსწავლეთა არასწორი აღრიცხვის მიზეზები და მიღებულ იქნეს ზომები პირველ კლასებში მისაღებ ბავშვთა კონტინგენტის მტკიცედ დადგენისათვის;

—პერიოდულად შეამოწმონ სკოლების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების სისწორე; შეამოწმების შედეგები განიხილონ კოლეგებისა და განათლების საბჭოს სხდომებზე; მიიღონ მკაცრი ზომები, რათა აღკვეთილ იქნეს ყოველგვარი უზუსტობა და შეუსაბამობა სკოლების მიერ წარმოდგენილ სტატისტიკურ მონაცემებში;

—შესწავლილ იქნეს IX კლასების მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შეუსრულებლობის საკითხი; რვაკლასდამთავრებულთა პერსონალური სიების მიხედვით დადგინდეს, თუ სად სწავლობენ ისინი; იმ შემთხვევაში, როდესაც რვაკლასდამთავრებული სკოლის

გართაა დარჩენილი, ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებთან ერთად, იზრუნონ მათ მოსაწყობად სკოლებსა, პროფტექნიკურ სასწავლებლებსა და წარმოებებში;

განათლების  
მინისტროსთვის

— მიიღონ ზომები გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების ქსელისა და კონტინგენტის გეგმის შესასრულებლად;

— დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი. მასწავლებელთა იდეური, საქმიანი კვალიფიკაციისა და პედაგოგიური დახელოვნების ამაღლებისათვის. ფართოდ დანერგონ სკოლების მუშაობის პრაქტიკაში იმ მასწავლებლებისა და პედაგოგიური კოლექტივების გამოცდილება, რომლებმაც მაღალ წარმატებებს მიაღწიეს;

— გააძლიერონ მუშაობა მშობლებთან, გაზარდონ მათი პასუხისმგებლობა ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის საქმეში;

2. სკოლების (დ. ჯავახია), სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების (ვ. ჩინჩალაძე) და საგეგმო-საფინანსო (ა. კვაჭაძე) სამმართველოებმა გააანალიზონ სასწავლო წლის შედეგები, საინსპექტორო შემოწმებების მასალები მოსწავლეთა კონტინგენტის მოძრაობის შესახებ და მიიღონ გადამჭრელი ზომები საყოველთაო-სავალდებულო განათლების განხორციელების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

— საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის უზრუნველყოფისათვის შეიმუშაონ წინადადებანი რვაკლასდამთავრებული ახალგაზრდობის სწავლების შემდგომი განგრძობისათვის სახალხო მეურნეობის განვითარებისა და სკოლების მატერიალური ბაზის გათვალისწინებით.

3. სკოლების სამმართველომ სისტემატურად შეამოწმოს ცალკეულ რაიონებსა და ქალაქებში სასწავლო-აღმზრდევლობითი მუშაობის დაყენების, საყოველთაო-სავალდებულო განათლებას კანონის განხორციელების მდგომარეობა, აამაღლოს განათლების ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობა ამ საქმეში და შედეგები, საჭირო ღონისძიებათა დასახვით, წარმოადგინოს კოლეგიაზე განსახილველად.

4. გაზეთი „სახალხო განათლების“ რედაქციამ ფართოდ განაზოგადოს მოწინავე სკოლების, მასწავლებელთა და პედაგოგიური კოლექტივების გამოცდილება, რომლებმაც საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს სასწავლო-აღმზრდევლობითი მუშაობის ამაღლების, საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების,

მეორეწლიანობის შემცირებისა და სხვა დარგში, ამასთანავე გავ-  
მოავლინოს და მკაცრად გააკრიტიკოს ის სკოლები და მასწავლებ-  
ლები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ მათზე დაკისრებულ  
მოვალეობის შესრულებას.

5. ეს ბრძანება განხილულ იქნეს რესპუბლიკის სკოლების  
პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე და დაისახოს ღონისძიებანი არ-  
სებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი



## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ. 14 თებერვლის ბრძანება № 133

**ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში დაწყებითი სამხედრო სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით ჩასატარებელ ღონისძიებათა გეგმის შესახებ**

1. ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში დაწყებითი სამხედრო სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით ჩასატარებელ ღონისძიებათა გეგმა დამტკიცდეს (გეგმა თან ერთვის).

2. აფხაზეთისა და აჭარის ასრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) დაწყებითი სამხედრო სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით ჩასატარებელ ღონისძიებათა გეგმა დაიყვანონ რაიონის (ქალაქის) ყველა რვაწლიან და საშუალო სკოლებამდე;

ბ) საქმიანი კავშირი დაამყარონ ადგილობრივ სამხედრო კომისარიატებთან, სამოქალაქო თავდაცვის შტაბებთან, კომკავშირის, დოსააფისა და წითელი ჯვრის ორგანიზაციებთან და ერთობლივი გეგმაზომიერი მუშაობით დასახონ და გაატარონ ქმედითი ღონისძიებები მოსწავლეთა შორის სამხედრო პატრიოტული მუშაობის გასაუმჯობესებლად.

3. განათლების სამინისტროს სათანადო განყოფილებათა მუშაკებმა (ამხ. ამხ. ა. ორახელაშვილი; ი. უშვერიძე) პერიოდულად შეისწავლონ საკითხი თუ როგორ სრულდება სახალხო განათლების განყოფილებებისა და სკოლების მიერ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებები და სახელმძღვანელო მითი-

თებები მოსწავლეთა შორის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის  
გაუმჯობესების თაობაზე და შედეგები მომახსენონ.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
კოლეგიის 1968 წლის 9 თებერვლის დადგე-  
ნილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

გ ა მ ტ კ ი ე ბ  
საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი



**ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში დაწყებითა სამხედრო სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით ჩასატარებელ ღონისძიებათა გეგმა**

№	ღონისძიებათა დასახელება	შესრულების ვადა	ვინ ატარებს
1	2	3	4
1	უფროსი კლასის მოსწავლეებთან სსრ კავშირის კანონის „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ საუბრების ჩატარება . . . . .	25 მარტამდე	განათლების განყოფილება, ადგილობრივ სამხედრო კომისარიატთან ერთად . . . . .
2	მოსწავლეთა შორის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში მუშაობის გაძლიერება. შემუშავებულ იქნეს კონკრეტული გეგმა ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო თავდაცვის მოსწავლეებში ბინადში მეთოდური დახმარების გაწევისა და სამხედრო პატრიოტული მუშაობის დარგში მოწინავე გამოცდილებათა განზოგადების მიზნით . . . . .	15 მარტამდე	განათლების განყოფილება ადგილობრივ სამხედრო კომისარიატებთან და ალკ ორგანიზაციებთან ერთად
3	რეაქლიან და საშუალო სკოლებთან სამოქალაქო თავდაცვის კაბინეტების, საბრძოლო დიდების მუზეუმების, ოთახების (კუთხეების) მოწყობა . . . . .	20 აპრილამდე	განათლების განყოფილება, ადგილობრივ სამოქალაქო თავდაცვის შტაბებთან და ალკ ორგანიზაციებთან ერთად

1	2	3	4
4	<p>იმ საშუალო სკოლებში, სადაც 1968 წლის 1 სექტემბრიდან შემოღებულ იქნება დაწესებითი სამხედრო მომზადება სასწავლო-მეთოდური ბაზის (სამხედრო ტექნიკური მომზადების კლასის, სამხედრო კაზინეტისა და იარაღების საწყობის) მოწყობა . . .</p>	15 აგვისტომდე	განათლების განყოფილება
5	<p>რეაწლიანი და საშუალო სკოლების V-VI-VII-IX კლასის მოსწავლეებთან სასწავლო-საწერითელი ვარჯიშების ორგანიზაცია—„სამოქალაქო თავდაცვის სივრცეებზე მოსწავლეთა ტიპების შესახებ“ . . .</p>	1 აპრილამდე	განყოფილების განყოფილება ადგილობრივ სამოქალაქო თავდაცვის შტაბთან ერთად
6	<p>ყველა რეაწლიანი და საშუალო სკოლებთან სანიტარული რაზმებისა და სანიტარული პოსტების ორგანიზაცია . . .</p>	5 მარტამდე	განათლების განყოფილება, ადგილობრივი წითელი ჯვრის კომიტეტებთან ერთად
7	<p>რეაწლიანი და საშუალო სკოლებთან სპორტის ტექნიკური წარების შექმნა და მათ მუშაობაზე ხელშეწყობა . . .</p>	15 მარტამდე	განათლების განყოფილება, ადგილობრივ დონაზე კომიტეტებთან ერთად
8	<p>მოსწავლეთა შორის სამოქალაქო თავდაცვის პროპაგანდა (ლექციების, საუბრების, მოხსენებების ჩატარება, აგრეთვე კინოფილმებისა და დიაფილმების ჩვენება სამოქალაქო თავდაცვის საკითხებზე) . . .</p>	სასწავლო წლის მანძილზე	განათლების განყოფილება

შორე განყოფილების

უფროსი ი. უშვერიძე

სასკოლო ინსპექტორი

ა. ორახელაშვილი



**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ.  
30 დეკემბრის ბრძანება № 1493**

**საქართველოს სსრ მოხწავლეთა XIX რესპუბლიკური სპარტაკიადისა და სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო (მოხწავლეთა X) სპარტაკიადაზე საქართველოს მოხწავლეთა სპორტული დელეგაციის მონაწილეობის შედეგების შესახებ**

საქართველოს სსრ მოხწავლეთა XIX რესპუბლიკურმა (27 მაისიდან 16 ივნისამდე) და საკავშირო სპარტაკიადებმა (4—22 ივლისი, ქ. ჯ. ლენინგრადი და მოსკოვი) გამოავლინეს რესპუბლიკის სკოლების მოხწავლეთა შორის სპორტული მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესება.

გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა სპარტაკიადაში მონაწილე რესპუბლიკის რაიონებისა და გუნდების რაოდენობა.

შინადასკოლო, სარაიონო და ზონალურ შეჯიბრებებსა და სპარტაკიადებზე სპორტის 19 სახეში მონაწილეობა მიიღო 320 ათასზე მეტმა მოხწავლემ, რომელთაგანაც სპარტაკიადის ფინალურ ნაწილში მონაწილეობის უფლება მოიპოვა 5481 მოხწავლემ (ამათგან 1816 გოგონა).

შეჯიბრებებზე 28 მოხწავლემ აჩვენა სპორტის ოსტატისა და სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმა, 105 მოხწავლემ—პირველი თანრიგის, 261—მეორე, 4972—მესამე და დანარჩენებმა კი—მოზარდთა პირველი თანრიგის შედეგი.

საქართველოს სსრ რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე პირველი ჯგუფის კოლექტივებს შორის პირველ ადგილზე გამოვიდა ქ. თბილისის მოხწავლეთა კოლექტივი (156 ქულა), მეორე ადგილზე—აჭარის ასსრ (136.5 ქულა), მესამეზე—ქუთაისის (136 ქულა), მეოთხეზე—აფხაზეთის ასსრ (130,5 ქულა), მეხუთეზე—რუსთავის და შემდეგ ადგილებზე კი თანმიმდევრობით—ფოთის, სამხრეთ

ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. ქ. გორის, ტყებულისა და ჭია-  
თურის ნაკრები კოლექტივები.

მეორე ჯგუფის კოლექტივებს შორის ათეულში შევიდნენ პირველ ადგილზე გამოსული სამტრედიის რაიონის სკოლების მოსწავლეთა კოლექტივი (167.5 ქულა), მეორეზე—ხაშურის (159 ქულა), მესამეზე—ზუგდიდის (152 ქულა), ხოლო მომდევნო ადგი-  
ლებზე ლანჩხუთის (144,5 ქულა), გარდაბნის (140 ქულა), ზესტა-  
ფონის (137.5 ქულა), მახარაძის (127.25 ქულა), ახალციხის (123,5 ქულა), ონის (122,4 ქულა) და დუშეთის (118,5 ქულა), რაიონების კოლექტივები.

მონაწილეობა მიიღეს რა საკავშირო სპარტაკიადაში საქა-  
რთველოს მოსწავლეებმა დაამყარეს რესპუბლიკის 41 რეკორდი  
და მოიპოვეს 14 ოქროს, 37 ვერცხლისა და 38 ბრინჯაოს მე-  
დალი.

საკავშირო სპარტაკიადაზე წარმატებით მონაწილეობდნენ  
ტანვარჯიშში—გოგონების გუნდი (პირველი ადგილი), ვაჟების  
გუნდი (მესამე ადგილი), ნორჩი ფეხბურთელები და თავისუფალი  
მოჭიდავეები (მეორე ადგილი), კლასიკური მოჭიდავეები და წყალში  
მბტომელები (მესამე ადგილი), მოფარიკავეები და მოჭადრაკეები  
(მეოთხე ადგილი), კრივის, წყალბურთის, ნიჩბოსნობის და სრო-  
ლის გუნდები (მეხუთე ადგილი) და სხვ. სპარტაკიადის საფინალო  
შეჯიბრებაში 19 გუნდიდან მოხვდა 13 გუნდი (წინა სპარტაკიადა-  
ზე 14-დან 7 გუნდი).

საქართველოს მოსწავლეთა სპორტულმა კოლექტივმა საკა-  
ვშირო სპარტაკიადაზე რუსეთის ფედერაციის, ქ. მოსკოვის, უკ-  
რაინის, ლენინგრადისა და ბელორუსიის კოლექტივების შემდეგ,  
საერთო VI ადგილი მოიპოვა, ამავე დროს აღსანიშნავია, რომ  
სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის 19 სახე-  
დან საქართველოს მოსწავლეთა გუნდებმა სპორტის 12—12 სახეში  
ლენინგრადისა და ბელორუსიის გუნდებზე უკეთესი ადგილები  
დაიკავეს. მოსკოვის გუნდებს მოუგეს სპორტის 5 სახეში, უკრაი-  
ნისას—4 სახეში, ხოლო საერთო პირველ ადგილზე გამოსულ  
რსფსრ-ის გუნდებს მოუგეს ტანვარჯიშში (გოგონები), ფეხბურთსა  
და ჭადრაკში.

მიუხედავად აღნიშნულისა, როგორც რესპუბლიკურ, ასევე  
საკავშირო სპარტაკიადებზე გამოვლინდა მოსწავლეთა შორის

სპორტული მუშაობის დაყენების საქმეში მთელი რიგი ნაკლოვანებები.

მძლეოსნობაში, ცურვაში, ველოსპორტში, ხელბურთში გიდის ჩოგბურთში გუნდები სუსტი შემადგენლობისა აღმოჩნდნენ, ხოლო ფრენბურთის (ჭაბუკები) და კალათბურთის (გოგონები) ნაკრებმა გუნდებმა ვერ შესძლეს მოწინავე ექვსეულში მოხვედრა.

აღსანიშნავია, რომ ნაკრები გუნდებისათვის შესაფერისი კანდიდატების მომზადება შესაძლო რესპუბლიკის მხოლოდ 30 სასპორტო სკოლაში, დანარჩენმა 39-მა ნაკრებ გუნდებს ვერ მისცეს ვერც ერთი მონაწილე.

სპორტის რიგ სახეებში ნაკრები გუნდები დაკომპლექტებული იყო ორი-სამი სპორტსკოლიდან, ტანვარჯიშში—თბილისის და ზუგდიდის სპორტსკოლებიდან, ტყვიით სროლაში—სოხუმისა და თბილისის, ჩოგბურთში—თბილისის, სოხუმის და ქუთაისის, მაგიდის ჩოგბურთში—თბილისისა და ბათუმის, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში—თბილისის, ქუთაისის და სამხრეთ ოსეთის სპორტსკოლებიდან და სხვ., იმ დროს, როდესაც სპორტის ამ სახეებში სხვა სპორტსკოლებიც აწარმოებენ მუშაობას.

საგრძნობლად შემცირდა სპარტაკიადაზე ტანვარჯიშში მონაწილე ქალაქებისა და რაიონების რიცხვი, რის გამოც თბილისის ნაკრებ გუნდს რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან მხოლოდ ერთი მოსწავლე დაემატა (ქ. ზუგდიდიდან—მოსწავლე ჩქოტუა, მწვრთნელი ვ. ხაბეიშვილი, სპორტსკოლის დირექტორი გ. ლოგუა).

რესპუბლიკის სასპორტო სკოლებში სპორტთამაშობათა გუნდების (ფრენბურთი, კალათბურთი, ხელბურთი) წვრთნის კულტურა დაბალი აღმოჩნდა. (ხელბურთში—ლაგოდების, წულუკიძის—ჭაბუკთა, ქარელის, თელავის, ხაშურის, ჩოხატაურის, დმანისის რაიონების გოგონათა გუნდები, კალათბურთში—ახალქალაქის, ბორჯომის, გორის, ქარელის, ლენტეხის, ორჯონიკიძისა და წითელწყაროს რაიონების ჭაბუკთა გუნდები, ფრენბურთში—მარნეულის, ასპინძის, ვანის, ყვარლის ჭაბუკთა და გურჯაანის, დუშეთის, ორჯონიკიძის, სიღნაღის გოგონათა გუნდები).

სუსტად ამზადებენ რეზერვებს რაიონები, აგრეთვე ჭიდაობაში. სპარტაკიადაზე მოუმზადებელი გუნდები გამოიყვანეს თავისუფალ ჭიდაობაში—წალენჯიხის, ლენტეხის, თელავისა და ყვარელის, კლასიკურ ჭიდაობაში—ლაგოდებისა და ზესტაფონის რაიონებმა.

მძლეოსნობასა და ცურვაში მიუხედავად მრავალი ღონისძიებების ჩატარებისა (ხანგრძლივი შეკრებები, შეჯიბრებები მოძმე რესპუბლიკებთან, რესპუბლიკის ყველა სპორტსკოლასა და რაიონის სპორტჯგუფების გახსნა და სხვ.), მუშაობის მდგომარეობა არაღამაკმაყოფილებელია. გუნდების გამოსვლის შედეგები (მძლეოსნობა მე-12 და ცურვა მე-9 ადგილი) ცხადყოფს, სპორტის ამ სახეებში, როგორც საწვრთნელი, ისე ორგანიზაციული-მუშაობის დაბალ დონეს. XIX რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე მძლეოსნობაში მოუშა-დებლობის გამო მონაწილეობის უფლება ვერ მოიპოვა 26 რაიონმა (კასპი, ყვარელი, აბაშა, წალკა, ლენტეხი, ამბროლაური, ადიგენი, ასპინძა, ბოლნისი, ახალქალაქი, ბოგდანოვკა, ორჯონიკიძე, საჩხერე, თერჯოლა, თეთრიწყარო, ვანი, გეგეჭკორი, გურჯაანი, დმანისი, გორი, ყაზბეგი, ლაგოდეხი, მარნეული, ჩხოროწყუ, ჩოხატაური), ხოლო იმ რაიონების გუნდების მნიშვნელოვანმა ნაწილმა, რომლებიც დაშვებული იყვნენ სპარტაკიადაზე, ვერ აჩვენეს სათანადო სპორტული შედეგი.

დაბალი აღმოჩნდა აგრეთვე ველოსპორტში ნაკრები გუნდის წევრთა მომზადება, როგორც თბილისში, ისე რაიონებში, რის შედეგადაც ველოსიპედისტთა ნაკრები გუნდი საკავშირო სპარტაკიადაზე მე-10 ადგილზე აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ ერთგვარად შემცირდა რაიონებისა და ქალაქების წარმომადგენლობა ნაკრებ გუნდებში, რაც ადგილებზე სუსტი მუშაობის შედეგია. სპარტაკიადის 311 მონაწილეთაგან 200 მოსწავლე თბილისის სკოლებიდან იყო წარმოდგენილი (აფხაზეთის ასსრ-დან 21 მოსწავლე, აჭარის ასსრ და ქუთაისიდან 20—20 მოსწავლე, ფოთიდან 10 მოსწავლე, მახარაძიდან და რუსთავიდან 5—5, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან 4, მცხეთის, გარდაბნის რაიონებიდან და ქ. ზუგდიდიდან, 3—3; ახმეტვიდან და ქ. გორიდან 2—2 მოსწავლე, ხოლო დუშეთიდან, სამტრედიიდან, მესტიიდან, ხაშურიდან, ახალციხიდან, ჭიათურიდან, ტყიბული-დან, ლანჩხუთიდან, საგარეჯოდან, ზესტაფონიდან თითო-თითო მოსწავლე).

ვერ კიდევ ადგილი აქვს რაიონულ სასპორტო სკოლებში სპორტის სახეობათა მრავალპროფილიანობას, რის შედეგადაც არ წარმოებს სპორტის რომელიმე სახეში გაღრმავებული, გეგმიანი მუშაობა ყველა ასაკობრივ ნაკრებში. სპორტსკოლის ჯგუფებში





ხშირ შემთხვევაში დანაწილებულია მწვრთნელ-მასწავლებელთა განაკვეთების შესავსებად.

რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე ზოგიერთი სპორტული სკოლის სუსტი მუშაობის დასაფარავად ადგილი ჰქონდა ასაკგადაცილებული მოსწავლეების გამოყვანის ფაქტებს. კალათბურთი—ქუთაისის ჭაბუკთა გუნდში, აჭარის ასსრ—მაგიდის ჩოგბურთის გონათა გუნდში, ფრენბურთში—აფხაზეთის ასსრ ჭაბუკთა გუნდში და ქ. თბილისის კლასიკური ჭიდაობის გუნდში, რის გამო მთავარმა მსაჯთა კოლეგიამ გააუქმა ასაკგადაცილებული მოსწავლეების მიერ ჩატარებული შეხვედრების შედეგები.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორების ნაწილი არ ატარებს საჭირო ღონისძიებებს ფიზიკური კულტურის სწავლებისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად; ხშირია შემთხვევები, როდესაც სპორტული დარბაზები და გასახდელი ოთახები არაპირდაპირი დანიშნულებით არის გამოყენებული.

## გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მოსწავლეთა XIX რესპუბლიკური სპარტაკიადის სპორტულ ტექნიკური შედეგები დამტკიცდეს (რესპუბლიკური სპარტაკიადის I და II ჯგუფის სპორტული კოლექტივების შედეგები თან ერთვის—დანართი № 1—2).

2. მოსწავლეთა XIX რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე პირველ ადგილზე გამოსული ქ. თბილისის მოსწავლეთა სპორტული კოლექტივი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გარდამავალი თასით და პირველი ხარისხის დიპლომით, მეორე ადგილზე გამოსული აჭარის ასსრ მოსწავლეთა სპორტული კოლექტივი—მეორე ხარისხის დიპლომით; მესამე ადგილზე გამოსული ქ. ქუთაისის მოსწავლეთა სპორტული კოლექტივი—მესამე ხარისხის დიპლომით, ხოლო სპორტის სხვადასხვა სახეებში პირველ ადგილზე გამოსული გუნდების მწვრთნელებს გამოეცხადოთ მადლობა და დაჯილდოვდნენ სიგელებით (სია № 3 თან ერთვის).

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გააძლიერონ კონტროლი და ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა სასპორტო სკოლებს

სასწავლო, კლასგარეშე და სკოლისგარეშე სპორტული მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის, სისტემატურად იზრუნონ ფიზიკურ კულტურაში ვაკვეთილების ხარისხის ამაღლებისა და სასპორტო გრამო მასალის სრულად გავლისათვის, წესრიგში მოიყვანონ სასკოლო სპორტული ბაზები და შეუქმნან ზოგადსაგანმანათლებლო და სასპორტო სკოლებს მუშაობის აუცილებელი პირობები; დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები სპორტული დარბაზებისა და გასახდელი ოთახების პირდაპირი დანიშნულებით გამოყენებისათვის;

ბ) კოლექტივებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე განიხილონ რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე მათი სპორტული კოლექტივის მონაწილეობის შედეგები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებას (ამხ. ი. ბაცე-ლაშვილი):

ა) დასახოს ღონისძიებები 1968 და 1969 წლების რესპუბლიკურ და საკავშირო სპარტაკიადებზე მოსწავლეთა გუნდების სათანადოდ მომზადებისათვის;

ბ) 1968 წლის 25 იანვრამდე შეიმუშაოს და წარმოადგინოს დასამტკიცებლად პიონერთა რესპუბლიკური თამაშობებისა და მოზარდთა ნაკრები გუნდების 1968 წლის საკავშირო შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის მომზადების გეგმა, სპორტული ღონისძიებების კალენდარი და მომავალი სპარტაკიადის დებულება;

გ) ნაკრები გუნდების მუშაობაზე კონტროლისა და დახმარების გაწევის მიზნით წარმოადგინოს წინადადება განყოფილებასთან სპორტის წამყვან სახეებში სექციების ჩამოყალიბების შესახებ (დამხმარე აქტივი);

ამ მუშაობაში ჩააბას სასპორტო სკოლის უფროსი მწვრთნელები და ფიზიკური კულტურის მუშაკები;

დ) მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტთან ერთად ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს დასამტკიცებლად კადრების გადამზადების გეგმა;

ე) განათლების სამინისტროს სპორტული სკოლის უმაღლესი დაოსტატების სკოლად გარდაქმნასთან და მოწინავე სპორტული სკოლების ახალ სასწავლო გეგმებზე გადასვლასთან დაკავშირებით, განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოსა და ფიზიკური აღზრდის მეთოდკაბინეტთან ერთად, 1967 წლის 25

იანვრამდე შეიმუშაოს და წარმოადგინოს დასამტკიცებლად უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის დებულება და წინადადებადებიანი 1968 წლიდან სპორტული სკოლების დაფინანსების შესახებ;

ვ) მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე გადასინჯოს ველოსპორტის, ხელბურთის, ცურვის, მძლეოსნობის გუნდების მწვრთნელთა შემადგენლობა და წარმოადგინოს წინადადებანი სპორტის ამ სახეობებში მუშაობის გაუმჯობესების შესახებ;

ზ) საქართველოს სსრ სპორტკავშირთან და მეთოდკაბინეტთან ერთად დაუდგინოს სპორტსკოლებს მუშაობის პროფილი (წამყვანი სპორტის სახე) სპორტული სკოლების ბაზების შესაძლებლობის, მწვრთნელების სპეციალობისა და ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით;

თ) მუშაობის უკეთ დაგეგმვისა და ოპერატიულობის მიზნით მეთოდკაბინეტებთან ერთად გაანაწილოს მუშაობის ცალკეული საკითხები მეთოდკაბინეტსა და სპორტსკოლას შორის და წარმოადგინოს სათანადო წინადადებები.

5. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, ქ. ქ. თბილისისა და ქუთაისის განათლების განყოფილებათა გამგეებმა შეისწავლონ რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე გუნდებში ასაკგადაცილებული მოსწავლეების გამოყვანის საკითხი, დამნაშავეთა მიმართ მიიღონ სათანადო ზომები და შედეგი აცნობონ განათლების სამინისტროს 1968 წლის 1 თებერვლამდე.

6. საკავშირო სპარტაკიადაზე ფინალში შესული გუნდების ყველა მონაწილეს, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლით დაჯილდოებულ მოსწავლე-სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს, მიმავრებულ-პედაგოგებს, ნაკრები კოლექტივისა და გუნდების ხელმძღვანელებს (დართული სიის მიხედვით) გამოეცხადოთ მადლობა და დაეტოვოთ სპარტაკიადაზე გამოყენებული სპორტული საწვრთნელი კოსტუმები (სია—დანართი № 4).

7. საკავშირო სპარტაკიადისათვის მოსწავლეთა ნაკრები გუნდების კარგად მომზადებისათვის გამოეცხადოთ მადლობა და დაჯილდოვდნენ განათლების სამინისტროს სიგელებით;

ა) მწვრთნელ-მასწავლებლები:

თავისუფალ კიდაობაში—გ. როსტიაშვილი, მ. ოსემაშვილი, ს. ბახტაძე.

კლასიკურ ქიდაობაში—ი. ჩხარტიშვილი და პ. იორდანი-  
შვილი;

სპორტულ ტანვარჯიშში—გ. ქილაია, გ. მამარდაშვილი,  
გ. ბაბილოძე, მ. იმნაძე, ო. მიქელაძე, თ. ასათიანი, ლ. ლარიონ-  
ოვი;

ნიჩბოსნობაში—ვ. რაზმაძე, შ. ლომთათიძე, ს. პოგრებეუსკი,  
შ. მუხიგულაშვილი;

წყალბურთში—ი. ჩხიკვაძე, ვ. ბარნაბიშვილი და ე. გოია-  
შვილი;

მძლეოსნობაში—ყ. საბანაშვილი, ე. ალიშანოვი, ე. ერქომაი-  
შვილი;

წყალში ხტომაში—ვ. გაიკავოი, გ. ქირია, ვ. კიკნაძე;

სროლაში—თ. ხერხეულიძე, გირგვლიანი, ი. გუჯარელიძე;

ფარიკაობაში—ვ. ქოჩიაშვილი, აჯიმაძელოვი, ტროფიმოვა  
და კომიძე;

ფეხბურთში—ს. სიხარულიძე, ა. ვარდიაშვილი, ზ. ჩხოვაძე;

ჭადრაკში—ა. ბუსლაევი, მაჭავარიანი, ჯანოევი, ჩირაძე, ხი-  
ზანიშვილი;

ბ) რესპუბლიკურ და საკავშირო სპარტაკიადაზე საერთო  
საცხოვრებლებსა და ნაკრებ გუნდებზე მიმაგრებულ პედაგოგებს,  
სკოლა-ინტერნატების დირექტორებსა და თანამშრომლებს, ტრან-  
სპორტის, კვებისა და სპორტული ბაზების მუშაკებს, რომელთაც  
გარკვეული მუშაობა ჩაატარეს სპარტაკიადის მონაწილეთა მომსა-  
ხურებისათვის, გამოეცხადოთ მადლობა (სია თან ერთვის № 5).

8. აბაშის, ყვარელის, ჩოხატაურის, გორის, ლენტეხის, თე-  
თრიწყაროს რაიონების განათლების განყოფილებებმა შეისწავლონ  
რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე მათი რაიონებიდან მოუშხადებელი  
გუნდების გამოყვანის მიზეზები, დასახონ ღონისძიებანი მდგომარე-  
ობის გამოსწორებისათვის და ამ საკითხების შესახებ მოხსენე-  
ბითი ბარათი წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს 1968 წ.  
1 მაისამდე.

9. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ გადასინჯოს  
ქ. თბილისში, საირმის-ქუჩაზე მშენებარე საცურაო აუზის მშენე-  
ბლობის ტექნიკურ დოკუმენტაციას, არსებული პროექტის გადა-  
მუშავებისა და სახტომი კომპლექსის მოწყობის გათვალისწი-  
ნებით.

10. აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე კონტროლის  
გაწევა დაევალოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფი-  
ლებას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
კოლეგიის 1967 წლის 21 დეკემბრის დადგე-  
ნილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

მონწიველეთა XIX რესპუბლიკური სპარტაკიადის შედეგები

I ჯგუფი



№№ რაიონები	ქ.ღ.ქ.ის ფ.ა.ს.ხ.ე.ღ.ე.ბ.ა.	ტანვარჯიში		მძლეოსნობა		ცურვა		კატათბურთი			
		ბ.	გ.	ბ.	გ.	ბ.	გ.	ბიჭვი		ვოგონა	
		ქ.	ა.	ქ.	ა.	ქ.	ა.	ქ.	ა.	ქ.	ა.
1	იფხაზეთის ასსრ . . . . .	16	V <sup>x</sup>	20	III <sup>x</sup>	20	III <sup>x</sup>	5,5	II <sup>x</sup>	5,5	II <sup>x</sup>
2	აჭარის ასსრ . . . . .	18	IV <sup>x</sup>	22	II <sup>x</sup>	22	II <sup>x</sup>	4,0	V	3,5	VI
3	ს/ქოსეთის ა/რ . . . . .	14	VI <sup>x</sup>	16	V <sup>x</sup>	—	— <sup>x</sup>	2,5	VIII <sup>x</sup>	4,5	IV <sup>x</sup>
4	თბილისი . . . . .	24	I <sup>x</sup>	24	I <sup>x</sup>	24	I <sup>x</sup>	6,0	I	6,0	I
5	ქუთაისი . . . . .	22	II <sup>x</sup>	18	IV <sup>x</sup>	18	IV <sup>x</sup>	1,5	X	5,0	III
6	ვარი . . . . .	20	III <sup>x</sup>	10	VIII <sup>x</sup>	—	— <sup>x</sup>	3,0	VII	—	—
7	ფოთი . . . . .	12	VII <sup>x</sup>	14	VI <sup>x</sup>	12	VII <sup>x</sup>	1,0	XI	1,5	X
8	კიბთურა . . . . .	—	— <sup>x</sup>	8	IX <sup>x</sup>	—	— <sup>x</sup>	0,5	XII <sup>x</sup>	3,0	VII <sup>x</sup>
9	რუსთავი . . . . .	10	VIII <sup>x</sup>	12	VII <sup>x</sup>	16	V <sup>x</sup>	5,0	III <sup>x</sup>	4,0	V <sup>x</sup>
10	ტყაბუღი . . . . .	8	IX <sup>x</sup>	6	X <sup>x</sup>	14	VI <sup>x</sup>	3,5	VI <sup>x</sup>	1,0	XI <sup>x</sup>

მ.პ.პ. რაიონი	ქალაქის დასახელება	ფრენბურთი				ხელბურთი				შავიდას სოცბურთი	
		ბიქი		გოგონა		ბიქი		გოგონა		ბიქები და გოგონები	
		ქ.	ა.	ქ.	ა.	ქ.	ა.	ქ.	ა.	ქ.	ა.
1	ფხაზეთის ასსრ . . . . .	5,0	III <sup>x</sup>	5,5	II <sup>x</sup>	4,0	V	2,5	VIII	8	V
2	აქირა . . . . .	4,0	V	4,5	IV	5,5	II <sup>x</sup>	5,0	III <sup>x</sup>	7	VI
3	ს/ოსეთის ა/რ . . . . .	1,5	I	3,5	VI	1,0	XI	4,0	V	5	VIII
4	თბილისი . . . . .	6,0	I	6,0	I	6	I	5,5	II	12	I
5	ქუთაისი . . . . .	4,5	IV	5,0	III	5,0	III <sup>x</sup>	6,0	I <sup>x</sup>	11	II
6	გორი . . . . .	2,0	IX <sup>x</sup>	2,5	VIII <sup>x</sup>	2,5	VIII	1,5	X	3,0	X
7	ფოთი . . . . .	—	—	—	—	3,5	VI <sup>x</sup>	4,5	IV <sup>x</sup>	9	IV
8	ქიათურა . . . . .	—	—	—	—	1,5	X	—	—	6	VII <sup>x</sup>
9	რუსთავი . . . . .	3,0	VII	4,0	V	4,5	IV <sup>x</sup>	3,0	VII <sup>x</sup>	10	III <sup>x</sup>
10	ტყიბული . . . . .	3,5	VI <sup>x</sup>	—	—	—	—	—	—	4	IX <sup>x</sup>



მუხრანის მუხრანის	ქალაქის დასახელებები	ჩოგბურთი		ფარეხები		კედლები		სახლი	
		ქველი	ზედა	ქველი	ზედა	ქველი	ზედა	ქველი	ზედა
1	აღმაშენი . . . . .	10	III <sup>x</sup>	8	V	9	IV	7	VI
2	აქარის' ასსრ . . . . .	9	IV	9	IV	10	III	12	IV
3	ს/ოსეთის ა/ო . . . . .	—	—	6	VII <sup>x</sup>	—	—	—	—
4	თბილისი . . . . .	12	I	12	I <sup>x</sup>	12	I	8	V
5	ქუთაისი . . . . .	11	II <sup>x</sup>	11	II <sup>x</sup>	11	II <sup>x</sup>	—	—
6	გორი . . . . .	—	—	—	—	5	VIII <sup>x</sup>	—	—
7	ფოთი . . . . .	17	VI <sup>x</sup>	—	—	8	V <sup>x</sup>	10	III <sup>x</sup>
8	ქვათუბი . . . . .	—	—	5	VIII	3	X <sup>x</sup>	—	—
9	რუსთავი . . . . .	8	V <sup>x</sup>	10	III <sup>x</sup>	6	VII	11	II <sup>x</sup>
10	ტფილისი . . . . .	—	—	—	—	4	IX <sup>x</sup>	—	—



მცხარე №№	ქალაქების დასახელები	წილში ბტომი		წილბურთი		თ/კვიდიობა		კლ/კვიდიობა	
		ქულა	აღალი	ქულა	აღალი	ქულა	აღალი	ქულა	აღალი
1	აფხაზეთის ესხრ . . . . .	11	II <sup>2</sup>	11	II <sup>2</sup>	8	V	9	IV
2	აჭარის ესხრ . . . . .	10	III	10	III	11	II <sup>2</sup>	10	III
3	ს/ოსეთის ა/თ . . . . .	—	—	—	—	9	IV <sup>2</sup>	7	VI <sup>2</sup>
4	თბილისი . . . . .	12	I <sup>2</sup>	12	I <sup>2</sup>	12	I <sup>2</sup>	11	II
5	ქუთაისი . . . . .	—	—	9	VI	10	III	12	I <sup>2</sup>
6	გორი . . . . .	—	—	—	—	7	VI <sup>2</sup>	8	V <sup>2</sup>
7	ფოთი . . . . .	—	—	—	—	—	—	—	—
8	ქიათურა . . . . .	—	—	—	—	4	IX <sup>2</sup>	5	VIII <sup>2</sup>
9	არსთავი . . . . .	—	—	—	—	6	VII	6	VII
10	ტყიბული . . . . .	—	—	—	—	5	VIII <sup>2</sup>	4	IX <sup>2</sup>



რეკვიზიტი	ქ. ლ. ქ. ე. ბ. ს. ფ. ბ. ს. ბ. ე. ლ. ქ. ბ. ს.	ფეხბურთი		კ. ბ. ს. ა.		ს. ბ. თ. ღ.		ს. ბ. თ. ღ.	
		ბილა	•ფა•ლა	ბილა	•ფა•ლა	ბილა	•ფა•ლა	ბილა	•ფა•ლა
1	იუხუბუთის ასსრ . . . . .	—	—	10	III	10	III <sup>x</sup>	11	III <sup>x</sup>
2	აქარის ასსრ . . . . .	11	III <sup>x</sup>	9	IV	9	IV	9	IV
3	ს/ოსსეთის ა/თ . . . . .	—	—	7	VI <sup>x</sup>	6	VII <sup>x</sup>	10	III <sup>x</sup>
4	თბილისი . . . . .	12	I <sup>x</sup>	12	I <sup>x</sup>	12	I <sup>x</sup>	12	I
5	ქუთაისი . . . . .	9	IV	11	II <sup>x</sup>	11	II <sup>x</sup>	8	V
6	გორი . . . . .	7	VI <sup>x</sup>	—	—	7	VI <sup>x</sup>	4	IX <sup>x</sup>
7	ფოთი . . . . .	—	—	8	V <sup>x</sup>	8	V <sup>x</sup>	—	—
8	ქიათურა . . . . .	—	—	—	—	—	—	—	—
9	რუსთავი . . . . .	10	III <sup>x</sup>	6	VII	—	—	6	VII <sup>x</sup>
10	ტყაბუღლი . . . . .	—	—	—	—	—	—	5	VIII <sup>x</sup>

მუცა მუცა	კატეგორიის დასახელება	საერთო ბირა	კლასი	არსებული წილი მთლიან ფონდში	საბარჩო/ადგილის რაოდენობა			სპორტსახლის რაოდენობა
					I ბირა	II ბირა	III ბირა	
1	აღსაზრის ბირა . . . . .	130,5	IV	15	—	6	5	10
2	ბარის ბირა . . . . .	136,5	II	16	1	5	3	10
3	ს/საზრის ბ/რ . . . . .	82,0	VII	10	—	—	1	10
4	ბიბლიო . . . . .	156,0	I	16	17	1	—	10
5	ქუთაისი . . . . .	136,0	III	14	1	5	4	10
6	გორი . . . . .	72,5	VIII	10	—	—	1	10
7	ფოთი . . . . .	96,0	VI	9	—	—	1	10
8	ქუთაისი . . . . .	36,0	X	6	—	—	—	10
9	რუსთაველი . . . . .	104,5	V	14	—	1	4	10
10	ტაბაღლი . . . . .	58,0	IX	8	—	—	—	10



მოსწავლეთა XIX რესპუბლიკური სპარტაკიადის  
ტექნიკური შედეგები

II ჯგუფი

№№ რაგბე	რაიონის დასახელება	ქულათა რაოდენობა	აღმოსა ღებულნი
1	აბაშა	72,75	19
2	ახალქალაქი	42,75	27
3	ახალციხე	123,5	8
4	ახმეტა	71,25	20
5	ბორჯომი	83,5	15
6	ვანი	68,75	21
7	გარდაბანი	140	5
8	გორის რ-ნი	27,25	32
9	გურჯაანი	46,25	26
10	ღუშეთის რ-ნი	118,5	10
11	ზესტაონი	137,5	6
12	ზუგდიდი	152	3
13	ყვარელი	28	31
14	ქასპი	51	25
15	ქარელი	90,75	13
16	ლაგოდეხი	68,25	22
17	ლანჩხუთი	144,5	4
18	ლენტეხი	41,5	29
19	მანარაძე	128,25	7
20	მცხეთა	83,75	16
21	ონი	122,5	9
22	საგარეჯო	77,25	18
23	სამტრედია	167,5	1
24	თელავი	106,75	11
25	თეთრიწყარო	41,75	28
26	ხაშური	159,5	2
27	წალენჯიხა	68,25	23
28	წითელწყარო	89,5	14
29	წულუკიძე	53	24
30	წყალტუბო	83,5	17
31	ცხაკაია	94,5	12
32	ჩოხატაური	35,25	30

## ს ი ა

სპარტაკიადაზე გამარჯვებული კოლექტივების  
ხელმძღვანელთა და გუნდების მწვრთნელებისა,  
რომელთაც გამოცხადათ მადლობა და  
დაჯილდოვდნენ სიგელებით

I ჯგუფის გამარჯვებული კოლექტივის ხელმძღვანელები  
თბილისის კოლექტივის ხელმძღვანელები

1. ა. გორგობიანი
2. დ. ფავლენიშვილი
3. კ. ბასილია
4. მ. იმნაძე
5. პ. ხიზანიშვილი
6. შ. მერკვილაძე

აჭარის ასსრ კოლექტივის ხელმძღვანელები

1. შ. პატარია
2. დ. ნიკოლაიშვილი
3. თ. ასათიანი

ქუთაისის კოლექტივის ხელმძღვანელები

1. ა. ჩოგოვაძე
2. თ. ფულარია
3. ზ. ალხაზიშვილი
4. ი. თავდიდიშვილი
5. დ. ჩირაძე

II ჯგუფის გამარჯვებული კოლექტივის ხელმძღვანელები

1. სამტრედიის სპორტსკოლის დირექტორი—შ. ნიკუტაძე  
წამყვანი მწვრთნელი—გ. კალაძე
2. ხაშურის სპორტსკოლის დირექტორი—გ. ღონღაძე  
წამყვანი მწვრთნელი—ვ. ზანიერი
3. ზუგდიდის სპორტსკოლის დირექტორი—გ. ლოგუა

I ჯგუფის კოლექტივებს შორის გამარჯვებული გუნდების მწვრთნელები

1. კალათბურთი—გოგონები—თბილისი—მწვრთნელი ბაბახანიძე, ჭაბუკები—თბილისი—მწვრთნელი—გ. ხაზლიანი
2. ფრენბურთი—გოგონები — თბილისი—მწვრთნელი—შ. მარგიშვილი, ჭაბუკები—თბილისი—მწვრთნელი—ს. ტარახჩიანი
3. ხელბურთი—გოგონები — ქუთაისი—მწვრთნელი —დ. გურულიშვილი, ჭაბუკები—თბილისი—მწვრთნელი—გ. მაჭავარიანი
4. მაგიდის ჩოგბურთი—თბილისი—ვ. კანდარიანი
5. ჩოგბურთი—თბილისი—ნ. კლდიაშვილი, მ. ქობალია
6. სროლა—თბილისი—შ. გუჯარელიძე
7. ველოსპორტი—თბილისი—ბ. გუკასიანი
8. ნიჩბოსნობა—აჭარა—მ. ლომთათიძე
9. წყალში—ხტომა—თბილისი—ს. კამოევი
10. ცურვა—თბილისი—გ. დათაძე
11. ტანვარჯიში—თბილისი—გ. ბაბილოძე, გ. მამარდაშვილი
12. მძლეოსნობა—თბილისი—ე. გაგუა
13. ფარიკაობა—თბილისი—ლ. ქოჩიაშვილი
14. ჭადრაკი—თბილისი—ა. ბუსლაევი
15. თავ. ჭიდაობა—თბილისი—გ. როსტიაშვილი
16. კლ. ჭიდაობა—ქუთაისი—ი. ბობოხიძე
17. ფეხბურთი—თბილისი—ს. სიხარულიძე
18. კრივი—თბილისი—ლ. შახპარუნოვი, ბუმბიაშვილი
19. წყალბურთი—თბილისი—ი. ჩხიკვაძე

II ჯგუფის კოლექტივებს შორის გამარჯვებული გუნდების მწვრთნელები

1. ტანვარჯიში—ზუგდიდი—ვ. ხაბეიშვილი
2. მძლეოსნობა—მახარაძე—გ. ერქომაიშვილი

3. კალათბურთი—გოგონები—ხაშური — შ. ლურსმანაშვილი, ჭაბუკები—ზესტაფონი—ა. ზაქაიძე
4. ფრენბურთი—გოგონები—ლაგოდები—ა. კახანიძე, ჭაბუკები—წყალტუბო—ი. სმირნოვი
5. ხელბურთი—გოგონები—ლანჩუთი—ა. გოგუაძე, ჭაბუკები—სამტრედია—ი. კვანტალიანი
6. მჩოგბურთი—გოგონები—კასპი—გ. ოთარაშვილი, ჭაბუკები—დუშეთი—გ. ბუჩიაშვილი
7. ჭადრაკი—ხაშური—ს. გურეშიძე
8. კლ. ჭიდაობა—მახარაძე—კ. თავართქილაძე
9. თავ. ჭიდაობა—კასპი—გ. ბუჩიაშვილი
10. ფეხბურთი—ზესტაფონი—ზ. ზაქაიძე
11. ველოსპორტი—ზუგდიდი—კ. შენგელია

**მთავარ მსაჯთა კოლეგიის შემადგენლობა, რომელთაც გამოეცხადათ მადლობა და დაჯილდოებული არიან დიპლომებით**

მთავარი მსაჯი—გ. მერკვილაძე

მოადგილეები: ნ. სეფაშვილი, ა. დოკვაძე—საქ. სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის სასკოლო განყოფილების წარმომადგენელი, დ. კინწურაშვილი, კ. ართვლიძე—მთ. ექიმი, მთ. მსაჯის მოადგილე, ნ. კაპლუნი—მთ. მსაჯის მოადგილე სამეურნეო დარგში.

**სპარტაკიადის უფროსი მსაჯები, რომელთაც გამოეცხადათ მ ა დ ლ ო ბ ა**

1. ე. სანთელაძე—ფრენბურთი
2. ე. ესაიანი—ველოსპორტი
3. მ. ბერიევი—კრივი
4. უ. ფურცელაძე—ფეხბურთი
5. თ. ხერხეულიძე—სროლა
6. თ. ჩხარტიშვილი—ხელბურთი
7. ლ. ქოჩიაშვილი—ფარიკაობა
8. ლ. აზიზოვა—კალათბურთი
9. მ. კლდიაშვილი—ჩოგბურთი
10. ი. ხიმშიაშვილი—მაგიდის ჩოგბურთი
11. ო. ელიაშვილი, ვდოვინი—მძლეოსნობა

12. გ. ჭილაია—ტანვარჯიში

13. ვ. რაზმაძე—ნიჩბოსნობა



ს ა მ დ ი ვ ნ ა

1. ვ. კიკნაძე

2. ჯ. თევდორაძე—მდივანი

3. ნ. ცერცვაძე—მდივან-მემანქანე



ს ი ა

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ფინალში  
 გამოსული გუნდების მოსწავლემ-სპორტსმენთა,  
 ცალკეულ მოწაფილეთა, მათი მწვრთნელების, მიმა-  
 გრებულნი კედაგოგების, ნაკრები კოლექტივისა და  
 გუნდების ხელმძღვანელთა, რომლებსაც დაეტოვათ  
 სპარტაკიადაზე გამომყვებულნი სპორტული  
 საწვრთნელი კოსტუმები

1. ტანვარჯიში

გოგონათა გუნდი I ადგილის მოპოვებისათვის

- |                   |                    |
|-------------------|--------------------|
| 1. რ. ბერიკაშვილი | 4. გ. ჯირაშვილი    |
| 2. მ. ჩაჩხიანი    | 5. მ. დავითაშვილი  |
| 3. გ. ჯენჭარაძე   | 6. დ. გათენდაშვილი |

ჭაბუკთა გუნდი III ადგილის მოპოვებისათვის

- |                 |                    |
|-----------------|--------------------|
| 1. მ. ლოლაძე    | 4. დ. სეფერთელაძე  |
| 2. ა. სარქისოვი | 5. თ. კინწურაშვილი |
| 3. ა. ნოზაძე    | 6. გ. ჩხოტუა       |

მ წ ვ რ თ ნ ე ლ ე ბ ი

1. შ. ქოიავა—გოგონათა გუნდის მწვრთნელი
2. გ. ჩხარტიშვილი—ჭაბუკთა გუნდის მწვრთნელი
3. გ. ჭილაია—გუნდის საერთო ხელმძღვანელი
4. გ. მამარდაშვილი—გოგონათა გუნდის ხელმძღვანელი
5. გ. ბაბილოძე—ჭაბუკთა გუნდის ხელმძღვანელი
6. მ. იმნაძე—მიმაგრებული პედაგოგი

### 3. ფეხბურთის გუნდი II ადგილის მოპოვებისათვის



- |                   |                      |
|-------------------|----------------------|
| 1. დ. ღირდალაძე   | 9. კ. ჯიშკარიანი     |
| 2. თ. ფირანიშვილი | 10. გ. შალცევი       |
| 3. დ. ლობჯანიძე   | 11. ვ. ტოგონიძე      |
| 4. რ. კედელაძე    | 12. ლ. კიტია         |
| 5. გ. მესხაძე     | 13. ჯ. მორჩილაძე     |
| 6. ზ. პეტრიაშვილი | 14. დ. მარგველაშვილი |
| 7. დ. ასატუროვი   | 15. კ. ზარატიანი     |
| 8. ნ. კვანტალიანი | 16. რ. კირტაძე       |

1. ს. სიხარულიძე—გუნდის მწვრთნელი
2. ც. ვარდიანიშვილი—მიმადგომელი პედაგოგი—მწვრთნელი
3. ზ. ჩხობაძე—გუნდის ხელმძღვანელი.

### 3. თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა გუნდი II ადგილის მოპოვებისათვის

- |                |                    |
|----------------|--------------------|
| 1. ტ. შიქელაძე | 6. ა. ქელიძე       |
| 2. გ. კვაჭაძე  | 7. ე. მარსაგიშვილი |
| 3. რ. ირემაძე  | 8. ტ. ცნობილაძე    |
| 4. ტ. გავუა    | 9. ი. გეგელიშვილი  |
| 5. ვ. ჭკალუა   | 10. ე. მოდებაძე    |

1. მ. ოსემაშვილი—მიმადგომელი პედაგოგი—მწვრთნელი
2. გ. როსტიაშვილი—გუნდის მწვრთნელი
3. ს. ბახტაძე—გუნდის ხელმძღვანელი

### 4. კლასიკური სტილით მოჭიდავეთა გუნდი III ადგილის მოპოვებისათვის

- |                    |                    |
|--------------------|--------------------|
| 1. მ. ალიევი       | 6. ვ. გარუჩავა     |
| 2. დ. ჩახმახიშვილი | 7. ა. გოვაშვილი    |
| 3. შ. აბაშიძე      | 8. ა. გეგეჭკორი    |
| 4. ა. ნებულიშვილი  | 9. გ. დარჩია       |
| 5. ე. გოგლიჩიძე    | 10. ი. ჩხარტიშვილი |

1. ი. ჩხარტიშვილი—გუნდის ხელმძღვანელი
2. ა. იორდანიშვილი—გუნდის მწვრთნელი

5. წყალში მხტომელთა გუნდი—III ადგილის  
მოპოვებისათვის



- |                    |                    |
|--------------------|--------------------|
| 1. კ. იაღრიშნიკოვი | 6. ნ. ცოცხალაშვილი |
| 2. ს. ჩუნიბინი     | 7. ლ. კაზანცევა    |
| 3. რ. არუთინოვი    | 8. ლ. ფედჩენკო     |
| 4. ვ. კირიჩენკო    | 9. ზ. ჩეკულაევა    |
| 5. ნ. კიშკო        | 10. ვ. ბასიუკი     |

1. ვ. გაიკაევი—გუნდის მწვრთნელი
2. გ. ქირია—გუნდის მწვრთნელი
3. ვ. კიკნაძე—გუნდის ხელმძღვანელი

6. კალათბურთულ ვაჟთა გუნდი  
III ადგილის მოპოვებისათვის

- |                     |                   |
|---------------------|-------------------|
| 1. ვ. კანდელაკი     | 6. გ. გოგლიჩიძე   |
| 2. გ. ფირცხალაური   | 7. გ. ნატრიაშვილი |
| 3. ნ. ფირცხელაშვილი | 8. დ. ლეჟავა      |
| 4. გ. ჩიხლაძე       | 9. ი. თოფურაძე    |
| 5. ვ. ქუთათელაძე    | 10. ვ. ტიშკოვეცი  |
- გ. ზახლიანი—გუნდის მწვრთნელი

7. მოჭადრაკეთა გუნდი IV ადგილის მოპოვებისათვის

- |                   |                   |
|-------------------|-------------------|
| 1. ე. უბილავა     | 5. ვ. მეჩიტოვი    |
| 2. ს. ჩეჩელიანი   | 6. ც. კობაძე      |
| 3. გ. ვარდოსანიძე | 7. მ. სანაძე      |
| 4. ე. კარკმაზოვი  | 8. მ. აივაზაშვილი |
- ა. ბუსლაევი—გუნდის მწვრთნელი

8. მოფარიკავეთა გუნდი IV ადგილის მოპოვებისათვის

- |                    |                    |
|--------------------|--------------------|
| 1. დ. ბუხრაშვილი   | 8. დ. ლორთქიფანიძე |
| 2. ნ. ქაცანაშვილი  | 9. ი. აივაზოვი     |
| 3. ც. სარქისოვა    | 10. ბ. გაჩეილაძე   |
| 4. მ. სერგეევა     | 11. დ. ხიდაშელი    |
| 5. ა. აფციაური     | 12. თ. გახოკიძე    |
| 6. დ. გოგინიაშვილი | 13. გ. რამიშვილი   |
| 7. თ. გურგენიძე    | 14. ვ. ლაზარაშვილი |

1. ს. აჯიმაშვილი—გუნდის ხელმძღვანელი
2. ვ. ქოჩიაშვილი—გუნდის მწვრთნელი
3. თ. ტროფიმოვა—გუნდის მწვრთნელი

**9. ნიჩბოსანთა გუნდი V ადგილის მოპოვებისათვის**

- |                   |                  |
|-------------------|------------------|
| 1. ნ. ცხოვრებოვი  | 6. ნ. პიატკოვი   |
| 2. ნ. ნაზვანოვი   | 7. ა. სკატარენკო |
| 3. თ. ჩიტაია      | 8. ა. ივანოვი    |
| 4. მ. ხაჩატურიანი | 9. ვ. სირია      |
| 5. კ. კარტასუკი   | 10. ს. არეშოვი   |

1. მ. პოგრებეჟსკი—გუნდის მწვრთნელი
2. ვ. რაზმაძე—გუნდის მწვრთნელი
3. შ. მუხიგულაშვილი—გუნდის ხელმძღვანელი

**10. მსროლელთა გუნდი V ადგილის მოპოვებისათვის**

1. თ. კვანტალიანი
2. თ. სვინტრაძე
3. ა. უზუნიანი
4. ვ. იაკიმენკო
5. თ. კაკაურიძე
6. თ. შპაჩენკო

1. თ. ხერხეულიძე—გუნდის მწვრთნელი
2. ი. გირგვლიანი—მიმაგრებული პედაგოგი—მწვრთნელი
3. ა. ორახელაშვილი—გუნდის ხელმძღვანელი

**11. მოკრივეთა გუნდი V ადგილის მოპოვებისათვის**

- |                  |                    |
|------------------|--------------------|
| 1. დ. ბადალიანი  | 7. ა. ანდრიასოვი   |
| 2. შ. მაყდინიანი | 8. ჭ. მამისეიშვილი |
| 3. ს. ტუმასიანი  | 9. ვ. ქელეხსაევი   |
| 4. ა. ოგანეზოვი  | 10. ა. ტარიპოვი    |
| 5. ე. ჩოჩიევი    | 11. ვ. მილიუშკოვი  |
| 6. ი. დვარცოვი   |                    |

1. ნ. ვახტანგაძე—მიმაგრებული პედაგოგი
2. გ. ბუმბიაშვილი—გუნდის ხელმძღვანელი
3. მ. ბერიევი—გუნდის მწვრთნელი

12. წყალბურთელთა გუნდი V ადგილის მოპოვებისათვის

- |                     |                   |
|---------------------|-------------------|
| 1. ვ. დადივაძე      | 7. ა. მეტრეველი   |
| 2. შ. მოშიაშვილი    | 8. ა. ლომიძე      |
| 3. ვ. დანელია       | 9. ს. ალხაზოვი    |
| 4. ზ. ქართველიშვილი | 10. თ. ჩიხლაძე    |
| 5. გ. იოაკიმიძე     | 11. დ. გირგვლიანი |
| 6. ი. ლობჯანიძე     |                   |



ი. ჩხიკვაძე—გუნდის მწვრთნელი

13. ჩოგბურთელთა გუნდი VI ადგილის მოპოვებისათვის

- |                                |                     |
|--------------------------------|---------------------|
| 1. ვ. აბაიანი                  | 5. თ. პაპაიანი      |
| 2. თ. ქვირია                   | 6. ზ. კაცია         |
| 3. ვ. ორჯონიკიძე               | 7. ვ. უზუმ-პოგოსოვი |
| 4. ბ. დვალიშვილი               | 8. გ. ჭარიტოვა      |
| 1. მ. ქობალია—გუნდის მწვრთნელი |                     |

14. ფრენბურთელ ვაგონათა გუნდი VI ადგილის მოპოვებისათვის

- |  |                |
|--|----------------|
| 1. ე. ავერიანოვა                       | 6. ს. მომინტი  |
| 2. ა. აირაპეტიანი                      | 7. ლ. ტანტიბა  |
| 3. მ. ბოროდინა                         | 8. ც. თოფურიძე |
| 4. ი. კაცნელსონი                       | 9. ც. სვანიძე  |
| 5. ლ. პავლოვა                          |                |
| 1. ს. ტარახჩიანი—გუნდის მწვრთნელი      |                |
| 2. დ. ფავლენიშვილი—გუნდის ხელმძღვანელი |                |
| 3. შ. მარგიშვილი—მწვრთნელი             |                |

15. მაგიდის ჩოგბურთელ ვაჟთა გუნდი VI ადგილის მოპოვებისათვის

- |                                      |  |
|--------------------------------------|--|
| 1. თ. კაპლანიანი                     |  |
| 2. პ. კაპიდი                         |  |
| 3. ვ. კოლიკი                         |  |
| 1. კ. გუგუშვილი—გუნდის მწვრთნელი     |  |
| 2. უ. თეთრაშვილი—გუნდის ხელმძღვანელი |  |
| 3. რ. ცაგარელი—გუნდის უფრ. მწვრთნელი |  |

16. მძღვეთსნობაში სპკრიზო ადგილებზე გამოსვლისათვის



1. ნ. ზვიადაური—I ადგილი შუბის ტყორცნაში
2. გ. გაფრინდაშვილი—II ადგილი უროს ტყორცნაში
3. ა. მოშიაშვილი—III ადგილი თარჯობენში
4. ზ. დოლიძე—IV ადგილი ბადროს ტყორცნაში

1. ყ. საბანაშვილი—მწვრთნელი
2. ა. საღოვოი—მწვრთნელი

17. ცურვაში სპკრიზო ადგილებზე გამოსვლისათვის

1. ა. ხებტოიანი—II ადგილი კომპლექსურ ცურვაში
2. თ. ლეკვიშვილი—III ადგილი 100 მ. თავისუფალ ცურვაში.

## ს ი ა

რესპუბლიკური და საკავშირო სპარტაკიადებზე  
სამართო საცხოვრებლებისა და ნაკრებ გუნდებზე  
მიმდებარეული კედაგოგების, სკოლა-ინტერნატების  
დირექტორებისა და თანამშრომლების, ტრანსპორტის,  
კვებისა და სკორტული ბაზების მუშაკებისა,  
რომელთაც გამოცხადათ მადლობა

### ა) მოსწავლეთა სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელები

დელეგაციის უფროსი—ი. ბეროზაშვილი (მთ. ხელმძღვანელი)  
მთავარი ხელმძღვანელის მოადგილეები—ი. ბაცელაშვილი,

გ. მერკვილაძე

ლასურაშვილი ირაკლი—(საქართველოს ალკკ ცკ-ს წარმო-  
მადგენელი)

არობელიძე კარლო—(დელეგაციის მთავარი ექიმი)

დოკვაძე აკაკი—(საქართველოს სპორტკავშირის წარმომადგე-  
ნელი)

სეფაშვილი ნიკოლოზ—(სამანდატო კომისიაში წარმომადგე-  
ნელი)

მანჯგალაძე ანზორი—(სპარტაკიადის შტაბის უფროსის მო-  
ადგილე—სამეურნეო დარგში)

კინწურაშვილი დავითი—დელეგაციის შტაბის უფროსი

თეთრაშვილი უშანგი—დელეგაციის შტაბის უფროსის მო-  
ადგილე

კაბლუნი ნიკოლოზი—საქართველოს სსრ მოსწავლეთა სპა-  
რტაკიადის სამეურნეო დარგის გამგე და გუნდების საკავშირო  
სპარტაკიადებზე გამგზავრების ხელმძღვანელი

ბ) ქ. ლენინგრადში საკავშირო სპარტაკიადაზე მომსახურე  
პერსონალი



1. ბარნოვი პეტრე ვასილის ძე—ქ. ლენინგრადის მკვლევართა საზოგადოების რაიონის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე;
2. კონონოვა ნინა ნიკოლოზის ასული—კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორი;
3. შიდლოვსკი ალექსეი ფილიმონის ძე—ლენინგრადის № 3 საშუალო სკოლის ფ. კ. მასწავლებელი (დაჯილდოვდა კოსტუმით);
4. გარდევევი იური ვასილის ძე—ქ. ლენინგრადის ოქტომბრის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე;
5. რიჟაილო გიორგი ივანეს ძე—საფეიქრო ინსტიტუტის პრორექტორის მოადგილე ადინისტრაციულ დარგში;
6. ბოგდანოვა ტანია გრიგოლის ასული—ქ. ლენინგრადის საფეიქრო ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის კომენდანტი;
7. მირონოვა გალინა ნიკოლოზის ასული—ქ. ლენინგრადის საფეიქრო ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის კომენდანტი;
8. ორლოვი ლევ—ლენინგრადის ფ. კ. ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის გამგე;
9. ევდოკიმოვი ვლადიმერი—რკინიგზის სატრანსპორტო ინსტიტუტის სპორტული კლუბის უფროსი;
10. ნარინკინა კლავდია ივანეს ასული—ლენინგრადის მსუბუქი მანქანების საექსპლოატაციო კანტორის უფროსი;
11. კონდრატევა ალა პეტრეს ასული—ლენინგრადის აეროვაგზლის უფროსი დისპეტჩერი.

გ) თბილისში საქართველოს სსრ მოხწავლეთა რესპუბლიკურ  
სპარტაკიადაზე მომსახურე პერსონალი

1. ა. ხეთერელი—თბილისის ყრუ-ბავშვთა სკოლა-ინტერნატის დირექტორი;
2. ა. სუხიაშვილი—განათლების სამინისტროს სპორტსკოლის თანამშრომელი;
3. გ. ბაკურაძე—№ 1 სკოლა-ინტერნატის დირექტორი;
4. ბ. მაჭავარიანი—№ 1 სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი;
5. ა. ცაგარეიშვილი—განათლების სამინისტროს სასპორტო სკოლის თანამშრომელი;
6. ა. წერეთელი—გლდანის № 1 სკოლა-ინტერნატის დირექტორი



7. გ. ხინველი—გლდანის № 1 სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე სამეურნეო ნაწილში;
8. ა. არჩვაძე—გლდანის № 2 სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე სამეურნეო ნაწილში;
9. ი. გორგიაშვილი—განათლების სამინისტროს სასპორტო სკოლის თანამშრომელი;
10. ი. მარკოსიანი—თბილისის № 2 დამხმარე სკოლა-ინტერნატის დირექტორი;
11. გ. ყიფიანი—განათლების სამინისტროს სასპორტო სკოლის თანამშრომელი;
12. გ. დათუაშვილი—თბილისის № 2 დამხმარე სკოლა-ინტერნატის სამნეო ნაწილის გამგე;
13. ს. ჩხიკვაძე—თბილისის № 3 სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე სამნეო ნაწილში;
14. ვ. შუღრა—თბილისის 1-ლი მაისის სახ. რაიონის სასპორტო სკოლის დირექტორი;
15. ს. გოზალიშვილი—თბილისის № 2 სკოლა-ინტერნატის სასადილოს გამგე;
16. თ. იაშვილი—განათლების სამინისტროს სასპორტო სკოლის თანამშრომელი.
17. ნ. ცერცვაძე—სპარტაკიადის მდივანი
18. პ. ხოზიაევი—სპარტაკიადის მდივანი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ.  
5 თებერვლის ბრძანება № 71

ქ. ჭიათურისა და ქარელის რაიონის ხალამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს ალკკ ცკ-ის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 5 ივლისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

განათლების სამინისტროს სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, რომ ქ. ჭიათურისა და ქარელის რაიონის სალამოს (ცვლის) სკოლებში გარკვეული მუშაობა ტარდება პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს ალკკ ცკ-ის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 5 ივლისის დადგენილების—„სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ამაღლების საქმეში რესპუბლიკის განათლების ორგანოების მუშაობის შესახებ“—შესასრულებლად.

მაგრამ, ამასთან ერთად, წარმოებაში მომუშავე რვა კლასისა და საშუალო განათლების არმქონე ახალგაზრდობის აღრიცხვის, სწავლებაში ჩაბმის, სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულებისა და მათი ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ამაღლების საქმეში ჯერ კიდევ არასაკმაო მუშაობა ტარდება.

სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები ურიგდებიან მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს და არ ახორციელებენ ქმედით ღონისძიებებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ჯეროვან სიმაღლეზე დასაყუებლად: სკოლის დირექტორებისა და სასწავლო მუშაობის დარგში მათი მოაზრებების მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზები

ვერ იძლევა გაკვეთილის—სასწავლო-აღმზრდელითი მუშაობის ამ ძირითადი ფორმის—გარკვეულ, ნათელ, საფუძვლიან სურათს. შესწავლილი სკოლების მასწავლებელთა ერთი საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას იჩენს და არ ზრუნავს საკუთარ პედაგოგიურ-მეთოდური და მეცნიერული ღონისამაღლებისათვის.

ჯერ კიდევ არასაკმაო ზომებია მიღებული, საწარმოო-დაწესებულებებთან ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის ინტერესებით ნაკარნახევ ერთობლივ ღონისძიებათა განსახორციელებლად: თითქმის სრულიად მივიწყებულია სკოლებისათვის დამხმარე მუდმივ-მოქმედი კომისიების მუშაობა, არ არის დაწესებული ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის მინიმუმი გარკვეული პროცენტების მუშებისათვის და სხვ.

ქ. ჭიათურისა და ქარელის რაიონის განათლების განყოფილებები (ამხ. ამხ. გ. ცხადიაშვილი და ნ. გოგიჩაშვილი) არასაკმაო ხელმძღვანელობას, დახმარებასა და კონტროლს ახორციელებენ სადამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო-აღმზრდელითი მუშაობისადმი.

### გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლის სასწავლო-აღმზრდელითი მუშაობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო ქ. ჭიათურის წასრის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის დირექტორი ვ. კაპანაძე განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.

2. დაბა ქარელის მუშა ახალგაზრდობის სკოლის დირექტორს ალ. კირკიტაძეს სკოლის სასწავლო-აღმზრდელითი მუშაობისადმი სუსტი ხელმძღვანელობის გამო გამოეცხადოს საყვედური.

3. აღინიშნოს, რომ ქ. ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის მესამე და მეოთხე სკოლების დირექტორები ზ. გაფრინდაშვილი და ი. ბაქრაძე არასაკმაო მუშაობას ატარებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელო მითითებათა შესასრულებლად.

4. დაბა ქარელის მუშა ახალგაზრდობის სკოლის ქიმიკ-ბიოლოგიის მასწავლებელი ნ. თაბუკაშვილი განთავისუფლდეს სამუშაოდან პირადი განცხადების საფუძველზე.

5. საგნის სწავლების ცუდად დაყენებისა და მოსწავლეთა მეტად დაბალი მომხადების გამო გამოეცხადოს საყვედური ქარ

თული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ლ. მაღალაძეს (დაბა ქარელის მუშა ახალგაზრდობის სკოლა), მათემატიკის მასწავლებლებს ლ. ნოზაძეს (ქ. ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის მეოთხე სკოლა), მ. ქელეხსაევს (დაბა ქარელის მუშა ახალგაზრდობის სკოლა).

6. საგნის სწავლების არადაამკმაყოფილებლად დაყენების გამო მიეთითოთ: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს მ. გველესიანს (ქ. ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის 1-ლი სკოლა), რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს— ე. შუბითიძეს (დაბა ავარის მუშა ახალგაზრდობის სკოლა), გ. სამყურაშვილს და ზ. გეგეშიძეს (ქ. ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის მეორე და მეოთხე სკოლები); მათემატიკის მასწავლებლებს— აკ. სარალიძეს (ქ. ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის მეორე სკოლა), მ. კასრაძეს (ქარელის მუშა ახალგაზრდობის სკოლა), ჯ. ცარციძეს (ქ. ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის მეორე სკოლა), ქიმის მასწავლებელს ლ. გაფრინდაშვილს (ქ. ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის მესამე სკოლა), გეოგრაფიის მასწავლებლებს ნ. ბრაგვაძეს (ქ. ჭიათურის წასრის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა) და რ. გაფრინდაშვილს (ქ. ჭიათურის მეოთხე სკოლა).

7. ქ. ჭიათურისა და ქარელის რაიონის განათლების განყოფილებებმა (ამზ. ამზ. გ. ცხადიაშვილმა და ნ. გოკიჩაშვილმა):

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისადმი. დაუყოვნებლივ შექმნან ამ ტიპის სკოლების დასახმარებლად მუდმივმოქმედი ხელშემწყობი კომისიები და პირადად განახორციელონ მეთვალყურეობა მათ მუშაობაზე;

ბ) გადაჭრით აამაღლონ პედაგოგიური კაბინეტების პასუხისმგებლობა საღამოს (ცვლის) სკოლების მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობის ხელმძღვანელობის საქმეში. ამ მიზნით თვით პედაგოგიურ კაბინეტებთან შექმნან საგნობრივი მეთოდგაერთიანებანი;

გ) ა/წ 20 მაისამდე მოახსენონ განათლების სამინისტროს ამ ბრძანების შესრულების მიმდენარეობის შესახებ.

8. აღნიშნული ბრძანება საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათით გამოქვეყნდეს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

9. მეთვალყურეობას ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე ვა ვალებ სადამოსა და დაუსწრებელი სკოლების თველოს (ამხ. რ. კანდელაკს).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1968 წლის 26 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი

## საქართველოს სსრ განათლების მინისტრს

ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

მოხსენებითი ბარათი

ქ. ჭიათურისა და ქარელის რაიონის ხალაშოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს ალკკ ცკ-ის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 5 ივლისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოსა და მისი მეთოდკაბინეტის მუშაკთა ბრიგადამ სამმართველოს უფროსის მოადგილის ს. ლ. დვალის (ხელმძღვანელი), სასკოლო ინსპექტორის ზ. ი. რატიშვილის, მეთოდისტების თ. ა. ბისეიშვილის, მ. ი. მანდარიას და თ. ა. გოდაბრელიძის შემადგენლობით მიმდინარე წლის 20-დან 30 ნოემბრამდე შეისწავლა ქ. ჭიათურისა და ქარელის რაიონის ხალაშოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს ალკკ ცკ-ის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 5 ივლისის დადგენილების—„სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ამაღლების საქმეში რესპუბლიკის განათლების ორგანოების მუშაობის შესახებ“—შესრულების მიმდინარეობის საკითხი. ამ მიზნით შემოწმებულ იქნა ქ. ჭიათურის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ყველა სკოლა, აგრეთვე დაბა ქარელისა და აგარის მუშა ახალგაზრდობის სკოლები. ამ თვალსაზრისით შემოწმდა განათლების განყოფილებათა და მათი პედაგოგიური კაბინეტების საქმიანობა. ამასთან შესწავლილ იქნა არამარტო იმ საკითხების შესრულების მიმდინარეობა, რომლებსაც უშუალოდ ითვალისწინებს აღნიშნული

დოკუმენტა, არამედ სკოლების მთელი სასწავლო-აღმზრდელი მუშაობა.

მუშა ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო-მეტრიკული ბაზით უზრუნველსაყოფად დიდი მუშაობაა ჩატარებული ქ. ჭიათურაში: აქ ქალაქის 4 საღამოს სკოლიდან საკუთარი სასკოლო შენობა აქვს სამს—პირველ, მეორე და მესამე სკოლას. ამჟამად მიმდინარეობს მეორე სკოლისათვის ახალი, ტიპური სასკოლო შენობის მშენებლობა. მასობრივი (დღის) სკოლის სასწავლო-მეტრიკული ბაზით სარგებლობის საკითხი კარგად არის მოგვარებული ქარელის რაიონის აგარის მუშა ახალგაზრდობის სკოლაში.

ქ. ჭიათურისა და ქარელის რაიონის საღამოს (ცვლის) სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები გარკვეულ მუშაობას ატარებენ წარმოებაში დასაქმებული ახალგაზრდების აღრიცხვის, სწავლებაში ჩაბმისა და მათი ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ასამაღლებლად. გარკვეულად შემცირდა მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევები. დამაკმაყოფილებლად მუშაობენ ქ. ჭიათურის პირველი (დირექტორი ალ. შუკაკიძე), მეორე (დირექტორი ე. ფალავანდიშვილი) და ქარელის რაიონის აგარის (დირექტორი მ. ბერუაშვილი) მუშა ახალგაზრდობის სკოლები. ისინი მტკიცე, საქმიან კავშირს ახორციელებენ ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებთან და წარმოება-დაწესებულებებთან.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ქ. ჭიათურისა და ქარელის რაიონის საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობაში შეინიშნება პედაგოგიური კოლექტივებისა და მათი ხელმძღვანელების საქმიანობისაგან პირდაპირ დამოკიდებული ნაკლოვანებანი.

რვა კლასისა და საშუალო განათლების არამქონე ახალგაზრდა მუშების, კოლმეურნეებისა და მოსამსახურეების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის ჩაბმული სწავლებაში. ამის გამო მიმდინარე წელს არ შესრულდა საღამოს სკოლებში კონტინგენტის ჩაბმის სახალხო მეურნეობის გეგმა.

ქ. ჭიათურის სკოლებში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5 სკოლისა 39 კლასით და 750 მოსწავლით, მუშაობს 5 სკოლა, რომლის 37 კლასში 706 ახალგაზრდა ირიცხება. ანალოგიური მდგომარეობაა ქარელის რაიონშიც, სადაც გეგმის შესრულებას დააკლდა 1 კლასი და 58 მოსწავლე. კონტინგენტის სახალხო მეურ-

ნეობის გეგმის შესრულების მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა აქვთ ქ. ჭიათურის მესამე (დირექტორი ზ. გაფრინდაშვილი), მეოთხე (დირექტორი ი. ბაქრაძე) დაბა ქარელის (დირექტორი ა. კირკიტაძე) მუშა ახალგაზრდობის სკოლებს. მეოთხე სკოლის დირექტორს აღრიცხული არა ჰყავს რვაწლიანი და საშუალო განათლების არამქონე ახალგაზრდები თავის მიკრორაიონში.

ზოგ სკოლაში პირდაპირ შეუწყნარებელი მდგომარეობაა სწავლებაში ჩაბმული ახალგაზრდების გაკვეთილებზე გამოცხადების მხრივ; ასე მაგალითად, ქ. ჭიათურის წასრის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის (დირექტორი ვ. კაპანაძე) VII კლასის 8 მოსწავლიდან 22 ნოემბერს გაკვეთილებზე არც ერთი არ გამოცხადდა, VIII კლასის 9 მოსწავლიდან გამოცხადდა მხოლოდ 2, IX კლასის 18 მოსწავლიდან 5 და ა. შ. აღნიშნული დღისათვის სკოლის 84 მოსწავლიდან გაკვეთილებს ესწრებოდა მხოლოდ 34. ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი აგრეთვე 29 ნოემბერს დაბა ქარელის მუშა ახალგაზრდობის სკოლაში (დირექტორი ა. კირკიტაძე).

სუსტია ამ უკანასკნელთა სასწავლო-მატერიალური ბაზაც: წასრის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა რვაწლიანი სკოლის ბაზაზე მუშაობს, რის გამო საღამოს სკოლის ზედა კლასები სრულიად მოკლებული არიან კაბინეტ-ლაბორატორიების თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებს, მასალებს და სწავლება მათ გარეშე, ზეპირსიტყვიერად წარმოებს. ქარელის მუშა ახალგაზრდობის სკოლაში მოუგვარებელია საღამოს სკოლის მიერ დღის სკოლის სასწავლო კაბინეტებითა და თვალსაჩინო მასალებით სარგებლობის საკითხი. შესწავლილი სკოლების მოსწავლეთა აბსოლუტურ უმრავლესობას არა აქვს სასწავლო სახელმძღვანელოები.

გარკვეული ნაკლოვანებები შეინიშნება სასკოლო მუშაობის დაგეგმვაში: ზოგ შემთხვევაში სკოლის წლიური სამუშაო გეგმები ზერელედ, ფორმალურად არის შედგენილი. მათ არ ეტყობათ, რომ ისინი პედაგოგიური კოლექტივის შემოქმედებითი განსჯის, ძიების გზითაა შექმნილი. გეგმებს არაიშვიათად აკლიათ კონკრეტულობა, მოქნილობა, არ ჩანს სკოლის მუშაობის აგ-კარგი და მათგან გამომდინარე ღონისძიებანი. ქ. ჭიათურის მეოთხე საშუალო სკოლის წლიურ სამუშაო გეგმაში შეტანილი არ არის ისეთი აუცილებელი საკითხები, როგორცაა ღონისძიებანი მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური ღონის ამალღებისათვის. მოწინავე პედა-



გოგოური გამოცდილების განხორციელებისათვის, დამწყებ მასწავლებლებთან მუშაობის საკითხი და სხვ. და ეს მაშინ, როცა ეს დღე-კუმენტი არ ივიწყებს ისეთ, შედარებით ადვილად მოსავლობად, ტექნიკურ, ასე ვთქვათ, ეპიზოდურ საკითხებს, როგორცაა კლასების განაწილება საკლასო ოთახებში, წარწერების გაკეთება, მერხების, დაფების დაწყობა და სხვა. კლასის ხელმძღვანელთა გეგმაში არა ჩანს კლასის წინაშე მდგომი ამოცანები, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებით ნაკარნახევი საკითხები, სკოლისა და წარმოების ურთიერთობით შეპირობებული ღონისძიებანი და სხვა.

ზოგ სკოლაში არასაკმაო ყურადღება ექცევა პედაგოგიურ საბჭოს მუშაობას. ქ. ჭიათურის წასრის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში (დირექტორი ვ. კაპანაძე) მიმდინარე წელს ჩაუტარებიათ მხოლოდ ერთი სხდომა. აქ პედსაბჭოს მდივანიც კი დღემდე არა ჰყავთ არჩეული.

ზოგჯერ ვხვდებით პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე საკითხების ზერელედ, მოუმზადებლად განხილვის შემთხვევებს: ასე მაგალითად, ქ. ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის 1-ლი სკოლის (დირექტორი ალ. შუკაკიძე) პედაგოგიური საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე განუხილავთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 21 აგვისტოს დადგენილება (სახელდობრ რა საკითხზე—აღნიშნული არ არის), სკოლის დირექტორს პირდაპირ, სიტყვა-სიტყვით წაუკითხავს აღნიშნული დოკუმენტი, პედსაბჭოს წევრთა ყურადღება არ შეუჩერებია მათ სკოლაში არსებულ ანალოგიურ ნაკლოვანებებზე, აზრი არავის გამოუთქვამს და სხდომის ოქმში ჩაუწერიათ: „მიღებული იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ“. ასევე ზერელედ არის განხილული სასწავლო წლის I-ლი მეოთხედის შედეგებიც: არ არის გაკეთებული ჩატარებული მუშაობის ანალიზი, არ ჩანს, რა წარმატებები იქნა მიღწეული, რა ნაკლოვანებებს ჰქონდა ადგილი, რა ღონისძიებათა გატარება საჭირო მუშაობის გასაუმჯობესებლად და სხვ.

შესწავლილ სკოლებში თითქმის მივიწყებულია მეთოდური მუშაობა მასწავლებელთა შორის. საგნობრივი მეთოდგაერთიანებანი—ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურისა და მათემატიკის მხოლოდ ქარელის რაიონის აგარის მუშა ახალგაზრდობის სკოლაშია შექმნილი. მეთოდგაერთიანებათა შეუქმნელობა იმით არის შეპირობებული, რომ ხშირად ცალკეულ საგნებში მხოლოდ ერთი ან ორი მასწავლებელი მუშაობს. ამგვარ

პირობებში, როგორც წესი, საჭირო იყო ქ. ჭიათურისა და ქარელის რაიონის განათლების განყოფილებათა პედაგოგიურ კაბინეტებს შეექმნათ სასკოლათაშორისო საგნობრივი მეთოდგაერთიანების მუშაობა. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თვით მასწავლებელთა ერთი ნაწილი სრულიად არადაამაკმაყოფილებლად მუშაობს საკუთარი პედაგოგიურ-მეთოდური და მეცნიერული ღონის ასამაღლებლად. ყოველივე ეს, ზოგ სხვა მიზეზთან ერთად, განსაზღვრავს ნაკლოვანებებს, რომელთაც ადგილი აქვს სასწავლო დისციპლინების სწავლებასა და მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდაში.

სკოლების ერთ ნაწილში მოუწესრიგებელია სასკოლო დოკუმენტაცია: ქ. ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის 1-ლი სკოლის IX<sup>1</sup>, X<sup>1</sup> და XI<sup>1</sup> კლასების საკლასო ჟურნალებში გაკვეთილებზე დამუშავებულ მასალას ზოგჯერ არ წერენ ქართულ ლიტერატურაში, რუსულ ლიტერატურაში, ფიზიკასა და გეოგრაფიაში. ასეთივე მდგომარეობაა ამ მხრივ დაბა ქარელისა და ქ. ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის მეორე სკოლაში. არაიშვიათად ვხვდებით საკლასო ჟურნალების უღაზათოდ, სხვადასხვა ფერის პელნით შევსების მაგალითებს. მუშა ახალგაზრდობის მესამე სკოლაში ადგილი აქვს აკადემიური წარმატებისა და ყოფაქცევის ჟურნალებში მოსწავლეთა შეფასების ნიშნების გადასწორების შემთხვევებს. რვა კლასის დამთავრების მოწმობებისა და საშუალო განათლების ატესტატების აღრიცხვის წიგნები ნაკლები პასუხისმგებლობით არის ნაწარმოები: ასე მაგალითად, ქ. ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის მეორე სკოლაში ადგილზე ინახება 1965, 1966 და 1967 წლებში საშუალო სკოლების კურსდამთავრებულ 13 ახალგაზრდაზე გასაცემი ატესტატები, რვა კლასის განათლების მოწმობა კი 15 კურსდამთავრებულს არა აქვს მიღებული. ასეთივე მდგომარეობაა მეოთხე სკოლაშიც. ქ. ჭიათურისა და წასრის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის დირექტორს ვ. კაპანაძეს ხელზე აღმოაჩნდა საშუალო განათლების სამი შეუესებელი ატესტატი; სააღრიცხვო წიგნში არ არის გატარებული რვა კლასის დამთავრების მოწმობები, ამასთან გაცემული მოწმობების მიღებაზე არ არის ხელმოწერა და სხვ.

ზოგ სკოლაში წესრიგში არ არის მოსწავლეთა პირადი საქმეები: არაიშვიათად აკლიათ დაბადების მოწმობები და ცნობები საშუალო და საცხოვრებელი ადგილებიდან.

ზოგი სკოლის ხელმძღვანელი და პედაგოგიური კოლექტივი

ჯერ კიდევ არასაკმაო კავშირს ახორციელებენ ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებთან და წარმოება-დაწესებულებებთან. გარდა აგარის მუშა ახალგაზრდობის სკოლისა, შექმნილა სკოლის მუშაობისათვის დამხმარე მუდმივმოქმედი ხელშემწყობი კომისიები. სკოლა და წარმოება სრულიად არასაკმაო ერთობლივ დონისძიებებს ახორციელებენ სწავლებაში ჩაბმული კონტინგენტის შესანარჩუნებლად; ასე მაგალითად, მიმდინარე წლის სექტემბრიდან ნოემბრის ბოლომდე ქარელის მუშა ახალგაზრდობის სკოლიდან სხვადასხვა მიზეზით, ძირითადად კი გაკვეთილებზე გამოუცხადებლობის გამო, სიიდან არის ამოღებული 21 მოსწავლე. გარდა ამისა, 1-ლ მეოთხედში სკოლას არასაკმაო მიზეზით ჩამოშორდა 20 მოსწავლე.

შესწავლილ სკოლებში ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება.

### ქართული ენა და ლიტერატურა

ქ. ჰიათურისა და ქარელის რაიონის საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ერთი ნაწილი მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის მოვალეობას: სისტემატურად მუშაობს საკუთარი პედაგოგიურ-მეთოდური და მეცნიერულ-თეორიული დონის ამალღებისა და სრულყოფისათვის, გულდასმით ემზადება გაკვეთილისათვის, მოხერხებულად უკავშირებს ერთმანეთს ამ საგნების სწავლებას, შემოქმედებით მიდგომას იჩენს ამ ტიპის სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის თავისებურებისადმი, რის გამო ერთგვარ დადებით შედეგებსაც აღნიშნული საგნების სწავლებაში. დამაკმაყოფილებლად მუშაობენ მასწავლებლები: გ. დეკანოსიძე (ქ. ჰიათურის მუშა ახალგაზრდობის მეორე სკოლა), ლ. მუმლაძე (მეოთხე სკოლა) და ვ. ბასილაძე (აგარის მუშა ახალგაზრდობის სკოლა).

მაგრამ, ამასთან ერთად, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში შეინიშნება არსებითი ზასიათის ნაკლოვანებანი.

დაბა ქარელის მუშა ახალგაზრდობის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ლ. მაღალდაძემ თვითონ სუსტად იცის როგორც ეს საგნები, ისე მათი სწავლების მეთოდები

და ხერხები. მეათე კლასში ქართული ლიტერატურის ვაკეველიძე  
თვით მასწავლებელმა დაუშვა ფაქტობრივი და ენობრივი ხასია-  
თის შეცდომები. ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების მოტივების<sup>გაგონებული</sup>  
ხილვისას ზოგჯერ იგი ერთმანეთისაგან ვერ გამოყოფს ეროვნულ  
და სოციალურ საკითხზე დაწერილ მწერლის ნაწარმოებებს. ლ.  
მალაღდაძემ „განმარტა“, რომ ილიამ, როცა საქართველოში ბა-  
ტონყმობის გაუქმების ამბავი გაიგო, რუსეთში დაწერა ლექსი  
„გაზაფხული“, რომელშიც იკითხა „მამულსო საყვარელო, შენ  
როსლა აყვავდები“.

ამრიგად, თვით მასწავლებელმა არ იცის, რომ:

ა) ილია სამშობლოში დაბრუნდა საქართველოში ბატონყმობის  
გაუქმებამდე;

ბ) „გაზაფხული“ მართლაც რუსეთშია (პეტერბურგშია) დაწე-  
რილი, მაგრამ არა საქართველოში ბატონყმობის გაუქმების ღროი-  
სათვის, არამედ 1861 წელს;

გ) ლექსი „გაზაფხული“ დაწერილია არა სოციალურ, არამედ  
ეროვნულ მოტივზე;

დ) „გაზაფხული“ არც სასწავლო პროგრამით ისწავლება და  
არც კლასგარეშე სავალდებულო საკითხავ თხზულებათა შორის  
არის გათვალისწინებული.

მასწავლებელი ამბობს: „ყვარელის მთებს“, „კურდღელის  
ძილს“, „ქართლის დედა“, „ე. წ. ტარიელი“ და სხვ.

ცნობილია, რომ მოსწავლეებში ემოციების გამოწვევისათვის  
გაცილებით სჯობს ლირიკული ლექსის არა შინაარსის გადმოცემა,  
არამედ მისი წაკითხვა და ზეპირად თქმა, ამასთან, მას აქვს უეჭვე-  
ლი საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მნიშვნელობაც. მას-  
წავლებელი ანგარიშს არ უწევს ამ ჭეშმარიტებას და, სათანადო  
ტექსტების უცოდინარობის გამო, იძულებულია საერთოდ აიღოს  
ხელი მხატვრული ნაწარმოებიდან თუნდაც მოსწავლეთათვის სა-  
ვალდებულო საზეპირო ადგილების მოტანაზე.

ყოველივე ამის გამო, ძლიერ დაბალია მოსწავლეთა მომზა-  
დება, მათი ზეპირი და წერიტი მეტყველების კულტურა.

ქ. ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის 1-ლი სკოლის ქართული  
ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მ. გველესიანი არადამაკ-  
მაყოფილებლად მუშაობს მოსწავლეთა წერიტი მეტყველების კულ-  
ტურის ასამაღლებლად: არ ასრულებს განათლების სამინისტროს  
მითითებებს წერიტი მუშაობის სახეების, რაოდენობისა და შეფასე-

ბის ნორმების შესახებ, შეუნიშნავად ტოვებს მოსწავლეთა ნაწერებში დაშვებულ ბევრ შეცდომას, არ მუშაობს მათზე, არასაკმარისად იბრძვის შპარგალკომანიის წინააღმდეგ და სხვ. მაგალითად IX კლასის მოსწავლე ც. მ. წერს: ეს დიდი სიყვარული მან გამოამჟღავნა, როდესაც გამზადებულმა ვარსკენმა მისგან სარწმუნოების გამოცვლა მოითხოვა“. მასწავლებელს არ შეუნიშნავს არც ეს შეცდომა და არც ის, რომ მოსწავლემ ისარგებლა „შპარგალკით“ და ვერ გადაიწერა სწორად (ნაცვლად სიტყვისა „გამაზდენებულმა“, დაწერა „გამზადებულმა“).

სხვა ნამუშევარში იგივე მოსწავლე წერს: „თინათინი ტიროდა, რადგან მამის ტახტზე საჯდომად თავი ელიარებინა“. მოსწავლემ აქაც შეცდომა დაუშვა გადაწერაში და ნაცვლად სიტყვისა „ელირსებოდა“, გადაიწერა „ელიარებინა“. მასწავლებლის მიერ არც ეს შეცდომაა შენიშნული.

უყურადღებოდ არის აგრეთვე დატოვებული მცდარად დაწერილი სხვა შესიტყვებები და ორთოგრაფიები: „იყო ღმერთის მოშიში“, „იგი თავის სიტყვის ბოლომდე გამტანია“. არის შემთხვევები, როცა მოსწავლეს სწორად უწერია, მასწავლებელი კი შეცდომით ასწორებს: ასე მაგალითად, სიტყვას „იმდროინდელი“ მოსწავლე სწორად წერს, მასწავლებელი კი „ასწორებს“:—„იმ დროინდელი“.

ზოგჯერ არასწორად არის შერჩეული საკონტროლო წერის თემა: IX კლასში მოსწავლეებს უწერიათ „თინათინის გამეფება“, X კლასში—ნ. აბაშიძის მოთხრობის „დედის“ შინაარსი. მოსწავლეთა უმრავლესობას სამუშაო შეუსრულებია 14-15 სტრიქონზე, თანაც სხვადასხვა ხასიათის შეცდომით და მიუღია დადებითი შეფასება.

ამ საგნის სწავლებაში ანალოგიური ხასიათის ნაკლოვანებებს ადგილი აქვს ზოგ სხვა სკოლაშიც. ეს გარემოება ქ. ჭიათურისა და ქარელის რაიონის სალამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა წინაშე აყენებს ამოცანას—ძირეულად გააუმჯობესონ თავიანთი საქმიანობა სასწავლო წლის მეორე ნახევარში და უზრუნველყონ მათ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება, მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლება.

### რუსული ენა და ლიტერატურა

შესწავლილი სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ერთი ნაწილი პასუხისმგებლობით ეკიდება ამ საგ-

ნების სწავლების საქმეს და დადებით შედეგებსაც აღწევს. ქ. ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის მეორე სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი რ. ნეფარიძე სათანადო პედაგოგიური მეთოდურ დონეზე ატარებს გაკვეთილს. იგი კარგად მუშაობს მხატვრული ნაწარმოების ტექსტზე, დამაკმაყოფილებლად ახერხებს ლიტერატურის სწავლების დაკავშირებას გრამატიკასთან, იცავს მითითებებს წერიითი მუშაობის ნორმების შესახებ, აღწევს მოსწავლეთა დაინტერესებას და მთელი კლასის ჩაბმას მუშაობაში. ყოველივე ამის გამო, დამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა მომზადება იმ კლასებში, სადაც იგი ასწავლის.

დამაკმაყოფილებლად ასწავლიან რუსულ ენასა და ლიტერატურას აგრეთვე მასწავლებლები გ. კაპანაძე (ქ. ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის 1-ლი სკოლა) და ნ. კატინოვა (დაბა აგარის მუშა ახალგაზრდობის სკოლა).

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ქ. ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის II სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვ. კაპანაძე. შემოწმების დღისათვის IX<sup>1</sup> კლასის არც ერთმა მოსწავლემ არ იცოდა მასალა „მ. ი. ლერმონტოვის ბიოგრაფია“, მასწავლებლის ცდაც—საუბრის მეთოდით გამოეკითხა იგი, უშედეგო აღმოჩნდა: მოსწავლეებმა კითხვებზე პასუხის გაცემა ვერ შეძლეს: მაშინ მასწავლებელმა თვითონ მოუთხრო კლასს მ. ი. ლერმონტოვის ბიოგრაფია ქართულ და რუსულ ენებზე. მაგრამ მოსწავლეებმა ამის შემდეგაც ვერ დასძლიეს მასალა.

როგორც ჩანს, მასწავლებელი ვ. კაპანაძე არაობიექტურად აფასებს მოსწავლეთა ცოდნას: აღნიშნული კლასის 19 მოსწავლიდან პირველი მეოთხედის ბოლოს თავის საგანში მან მხოლოდ ორი მოსწავლე შეაფასა ნიშნით—„2“; მოსწავლე ა. ს., რომელსაც მიმდინარე სასწავლო წელს არც ერთი საკონტროლო სამუშაო არ შეუსრულებია და რომელიც მეოთხედში სამჯერ არის გამოკითხული, ერთხელ „2“, ორჯერ კი „3“ აქვს მიღებული, მეოთხედურ ნიშნებად რუსულ ენასა და ლიტერატურაში უწერია „4“-ები.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება აგრეთვე დაბა აგარის მუშა ახალგაზრდობის სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ვ. შუბითიძის მუშაობა: ძალზე დაბალია VIII კლასის მოსწავლეთა მომზადების დონე ამ საგნებში. კლასის არც ერთმა მოსწავლემ არ იცოდა წინა გაკვეთილის მასალა ი. ტურგენევის „Бирюк“-ი. მასწავლებელი შეეცადა საუბრის მეთოდ-

დით ამოეწურა მასალა, მაგრამ მოსწავლეებს პასუხისმართებელი მასწავლებლის დახმარება დასჭირდათ. ასეთივე უცოდინარობა გამოამჟღავნა კლასმა გრამატიკული მასალისაც.

მასწავლებელი ვ. შუბითიძე თვითონაც არასაკმაოდ ფლობს რუსულ ენას. იგი ბევრ შეცდომას უშვებს მეტყველებისას; ასე მაგალითად, „Имба состоялась“, „На середине высела“, „когда осмотрел кругом“, „В каком сборнике входит“, „В чем состоит бедность“ და სხვ.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ აგრეთვე აღნიშნული საგნის მასწავლებლები ზ. გეგეშიძე (ქ. ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის IV სკოლა) და სამყურაშვილი (ქ. ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის II სკოლა).

ზემოაღნიშნულ და მსგავს ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად გადაჭრელი ზომები უნდა მიიღონ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა.

### მათემატიკა

შესწავლილი საღამოს (ცელის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მათემატიკის ზოგი მასწავლებელი გულმოდგინე, ბევრით პედაგოგიური შრომით აღწევს მათემატიკის შესწავლით მოსწავლეთა დაინტერესებას. ამ მხრივ გამოირჩევიან მასწავლებლები ს. პაპიძე (ქ. ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის მე-2 სკოლა), მ. ვაშაქიძე (მუშა ახალგაზრდობის 1-ლი სკოლა), ზ. ჩხეიძე (მუშა ახალგაზრდობის III სკოლა) და ლ. გაგლოევი (ქარელის რაიონის აგარის მუშა ახალგაზრდობის სკოლა).

ამასთან, მათემატიკის სწავლებაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებსაც.

ქ. ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის მე-2 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი აკ. სარალიძე VI კლასის პროგრამით შესასწავლ მასალას—„რიცხვითი კოეფიციენტებიანი პირველი ხარისხის ერთუცნობიან განტოლებათა ამოხსნას“ ასწავლის VII კლასში. საშინაო დავალების ირგვლივ გაკვეთილზე არ დასმულა ფრონტალური კითხვები, რის გამო გაურკვეველი დარჩა, რამდენად ჰქონდათ მოსწავლეებს დაძლეული წინა მასალა. მასწავლებელმა მთელ კლასთან მუშაობა დაიყვანა სამ მოსწავლემდე, დანარჩენები კი უყურადღებოდ დარჩნენ გაკვეთილზე. გაუსწორებლად იქნა დატოვებული მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომები.

თვით მასწავლებელი აკ. სარალიძე ხმარობს გაკვეთილზე არა-  
ზუსტ გამოთქმებს; ასე მაგალითად, „გავაერთმნიშვნელოვნოთ“  
ლაღწევრებიანი განტოლება“ და სხვ. მასწავლებელი საინტერესო  
მნიშვნელობას არ ანიჭებს მოსწავლეთა ცოდნის შეფასებას: მას  
გაკვეთილზე არც ერთი მოსწავლე არ შეუფასებია.

ყოველივე ზემოხსენებულის გამო, დაბალია მოსწავლეთა  
მომზადება ალგებრაში. ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ უპასუხა, მა-  
გალითად, კითხვაზე—როგორ განტოლებას ეწოდება ტოლფასი?

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება მათემატიკა აგრეთვე და-  
ბა ქარელის მუშა ახალგაზრდობის სკოლაში.

შემოწმების დღეს VIII კლასში ალგებრაში დავალებად მი-  
ცემული მაგალითები არც ერთ მოსწავლეს არ ჰქონდა შესრულე-  
ბული. მასწავლებელმა მ. ქელეხსაევმა მოსწავლეები ავარჯიშა  
№ 18372 ტიპის მაგალითებზე. კლასმა ვერ უპასუხა კითხვაზე—  
რატომ ამცირებენ და აღიდებენ ფესქვეშა მოცემულ რიცხვს 100-  
ჯერ. მოსწავლეებს უჭირთ რიცხვის დაწერა, სუსტად იციან გან-  
ვლილი მასალა.

მ. ქელეხსაევი თემატურ გეგმებს ადგენს არა ცალკეული თე-  
მების, არამედ მეოთხედების მიხედვით. ამიტომ სწორად ვერ გაა-  
ნაწილა სასწავლო დრო და საპროგრამო მასალის გავლაში. მ საა-  
თით ჩამორჩა.

XI კლასში ალგებრასა და ელემენტარულ ფუნქციებს ასწავ-  
ლის ნ. კასრაძე. მოსწავლეებმა სუსტად იცოდნენ საშინაო დავა-  
ლებად მიცემული მასალა—„კომპლექსური რიცხვების შეკრება“. მათ არ იციან ნამდვილი, რაციონალური და წარმოსახვითი რიც-  
ხვების რაობა. მოსწავლეებმა ვერ შეძლეს  $1-7i + 1 + 5i =$   
მოქმედების შესრულება.

ქ. ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის მეორე და მეოთხე სკო-  
ლების მათემატიკის მასწავლებლები ჯ. ცარციძე და ლ. ნოზაძე  
არ მუშაობენ სასწავლო პროგრამის მიხედვით; ასე მაგალითად,  
პირველმა, ჯ. ცინცაძემ, XI კლასში გამოტოვა თემა „პირდაპირი  
და შექცეული ფუნქციების გრაფიკთა ურთიერთგანლაგება“, ადრე  
შესწავლილი „ელემენტარული ფუნქციების თვისებებისა და გრა-  
ფიკების მიმოხილვა და რიცხვის ცნების განზოგადება“ და ისე ახ-  
სნა „კომპლექსური რიცხვები“. მეორე, ლ. ნოზაძე, კი პირდაპირ  
სახელმძღვანელოს მიჰყვება და გაუმართლებლად უვლის გვერდს ამ  
საგნის VII კლასის პროგრამას.



არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ქ. ჭიათურის მეოთხე სკოლის მასწავლებელი ლ. ნოზაძე, მან თვითონ ვერ დაამტკიცა თეორემა მონაკვეთისადმი მის შუა წერტილზე გავლებული პერპენდიკულარის შესახებ.

შესწავლილი სკოლების მათემატიკის მასწავლებლებმა სერიოზული მუშაობა უნდა ჩაატარონ სასწავლო წლის წარმატებით დასამთავრებლად.

### ქიმია

დამაკმაყოფილებლად მუშაობს ქ. ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის 1-ლი სკოლის ქიმიის მასწავლებელი ე. აოვაშვილი. შემოწმების დღისათვის ამ სკოლის მეათე კლასის მოსწავლეებმა გაკვეთილის დამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოავლინეს. წინა მასალა „კალციუმი ბუნებაში. კალციუმის ნაერთების გამოყენება“ გამოძახებულმა მოსწავლემ დამაკმაყოფილებლად იცოდა. მასალის ცოდნა გამოამჟღავნეს აგრეთვე სხვა მოსწავლეებმაც კლასის წინაშე მასწავლებლის მიერ ფრონტალურ კითხვებზე პასუხის გაცემისას.

ახალი მასალა „წყლის სიხისტე და მისი აცილების საშუალებაანი“ მასწავლებელმა კარგად გადასცა, ამასთან ჩაატარა სადემონსტრაციო ცდაც. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობდნენ მუშაობაში, წერდნენ შესაბამის რეაქციათა ტოლობებს. მათ კარგად გაიგეს ახალი მასალა.

ქიმიის სწავლებაში წარმატებებს აღწევს მუშა ახალგაზრდობის მეორე სკოლის მასწავლებელი თ. გოგსაძე.

უპასუხისმგებლობას იჩენს საგნის სწავლებისადმი დაბა ქარელის მუშა ახალგაზრდობის სკოლის ქიმიის მასწავლებელი ნ. თაბუკაშვილი. იგი არ ემზადება გაკვეთილისათვის, არ ფიქრობს წინასწარ მასზე, არ წერს გაკვეთილის გეგმებს; მიმდინარე სასწავლო წელში მას აღმოაჩნდა მხოლოდ ერთი დღის გაკვეთილის გეგმები. IX კლასში მასწავლებელ ნ. თაბუკაშვილის მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე 23 მოსწავლიდან ესწრებოდა მხოლოდ 6, ხუთი დაგვიანებით გამოცხადდა. ძლიერ დაბალია მოსწავლეთა მომზადება ამ საგანში. მათ გაკვეთილის თემაც კი ვერ დაასახელეს. მასწავლებელმა დაფასთან გაიძახა მოსწავლე და თვითონ დააწერინა რკინის უანგის ფორმულა. მოსწავლემ მასწავლებლის კარნახით დაიწყო რკინის პროცენტული რაოდენობის გამოანგარიშება. ამნაირად

„უბასუხა“ მეორემატ. მოსწავლეები ვერ წერენ მყავებისა და ფე-  
ძების ფორმულას, ვერ ადგენენ რეაქციათა ტოლობებს. ამ ვით-  
რებაში არითმეტიკულ მოქმედებებზე ვარჯიში, რასაც გაკვეთილში  
ჰქონდა ადგილი, 35 წუთის განმავლობაში ყოვლად გაუმართლე-  
ბელია.

ახალი მასალა იყო „ქიმიური ფორმულებისა და ქიმიურ რეაქ-  
ციათა ტოლობების მიხედვით გაანგარიშებათა პრაქტიკული მნიშ-  
ვნელობა“. მასწავლებელმა ნ. თაბუკაშვილმა ეს მასალა 5 წუთში  
გადასცა და მიუთითა სახელმძღვანელოს სათანადო გვერდებზე.  
ბუნებრივია, ამნაირად „ახსნილი“ მასალა მოსწავლეებმა ვერ გაიგეს.

არადამაკმაყოფილებლად ჩაატარა გაკვეთილი იმავე მასწავ-  
ლებელმა X კლასშიც. გაუგებარი აღმოჩნდა საშინაო დავალება.  
მასწავლებლის მიერ დასმული, არასწორად ფორმულირებული კითხ-  
ვები: „კალციუმი ბოლო შრეში რამდენი ელექტრონი ზვდება? კალ-  
ციუმი როგორია? კალციუმი აქტიური მეტალია?“ და სხვ. მოსწავ-  
ლეებმა ვერ გაიგეს. მან მოითხოვა მათგან იონის განმარტება და,  
პასუხი რომ ვერ მიიღო, მაშინ თვითონვე, მაგრამ არასწორად,  
უბასუხა დასმულ კითხვაზე: „იონი ეწოდება ატომის ნაწილაკების  
დამუხტვას“. ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ შესძლო ქიმიური ტო-  
ლობის  $Ca + 2HCl = CaCl_2 + H_2$  იღნური ფორმით გამოსახვა. მას-  
წავლებელმა აქაც შეცდომა დაუშვა, როცა უკარნახა მოსწავლეს:  
„კალციუმს ორი მუხტი დაუწერეო“. კალციუმის ატომს მოსწავ-  
ლემ დაუწერა მუხტი და გამოვიდა  $Ca_2 + 2HCl = CaCl_2 + H_2$ . იგი ვერ  
არჩევს მარტივსა და რთულ ნივთიერებებს. მათ ფიზიკურ მდგო-  
მარეობას და სხვ. მასწავლებელი კლასს ესაუბრება ბუნდოვანი,  
ენობრივი შეცდომების შემცველი წინადადებებით; ასე მაგალითად,  
„კალციუმი აძლიერებს ცხოველებს ძვლების ნაწილებში“, „ნახშირ-  
მჟავა კალციუმიდან რა ვიცით მარილების სახით, რომელიც გამო-  
ყენებულია სახალხო მეურნეობაში“ და სხვ.

მასწავლებელ ნ. თაბუკაშვილის ასეთი დაბალი ცოდნა, ბუნებ-  
რივია, არის, ძირითადად აღნიშნული კლასების მოსწავლეთა  
მოუმზადებლობის მიზეზი.

ქიმიის სწავლება გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება  
ქ. ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის მესამე სკოლაშიც (მასწავლე-  
ბელი ლ. გაფრინდაშვილი).

საჭიროა ქ. ჭიათურისა და დაბა ქარელის საღამოს (ცვლის)  
სკოლების ქიმიის მასწავლებლებმა სათანადო დასკვნები გააკეთონ

და სერიოზულად მოკიდონ ხელი ამ საგნის სწავლების გადაჭრით  
გაუმჯობესებას.



## ბიოლოგია

დამაკმაყოფილებლად ასწავლის ბიოლოგიას ქ. ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის IV სკოლის მასწავლებელი კ. ქურციკიძე.

VIII კლასში ამ მასწავლებლის მიერ „ადამიანის ანატომიასა და ფიზიოლოგიაში“ ჩატარებულ გაკვეთილზე წინა მასალა იყო „საჭმლის მნიშვნელობა და მისი მონელება“, რომელიც მოსწავლეებმა დამაკმაყოფილებლად იცოდნენ. მასწავლებელმა რამდენიმე კითხვა დასვა განვლილი მასალიდან. მოსწავლეთა ცოდნა აქაც გამოვლინდა.

მასწავლებელმა კ. ქურციკიძემ კარგად დააკავშირა ადრე შესწავლილ თემასთან ახალი მასალა „საჭმლის მომნელებელი არხის აგებულება“. მოხერხებულად გამოიყენა თვალსაჩინოება, მოასწრო ახალი მასალის განმტკიცება ყოველივე ამის შედეგად მიღწეულ იქნა გაკვეთილის მიზანი.

დამაკმაყოფილებლად ასწავლის ბიოლოგიას აგრეთვე ქ. ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის მეორე სკოლის მასწავლებელი გ. ედიგაროვა.

მაგრამ, ზემოაღნიშნულთან ერთად, ბიოლოგიის სწავლებაში ვხვდებით არსებითი ხასიათის, მეტად სერიოზულ ნაკლოვანებებს.

დაბა ქარელის მუშა ახალგაზრდობის სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელმა ნ. თაბუკაშვილმა არა მარტო ამ საგნის ცოდნის, არამედ საერთოდ განათლების დაბალი დონე გამოავლინა: მან ვერ შესძლო გაკვეთილის გამოკითხვა და ახალი მასალის ახსნა; მეტიც: ვერ დაასახელა შესასწავლად მიცემული მასალის სათაურიც კი. მასწავლებელმა კლასის წინაშე დასვა ასეთი კითხვები:

პირის ღრუში რაა მოთავსებული?

კბილების რამდენი რაოდენობა აქვს ადამიანს?

საჭმელს რომ მიიღებს და კბილებით დააქუცმაცებს შემდეგ რა უწყობს ხელს?

იმის გამო, რომ მასწავლებელმა პასუხი ვერ მიიღო, კლასს თვითონვე მისცა „განმარტება“.

მასწავლებელმა თვითონ დაუშვა შეცდომები: არასწორად აღნიშნა, თითქოს პანკრეასის წვენი, მარილმჟავა და ამონომჟავები

ფერმენტებია: ამონომეჯავები ცხიმების დაშლას და გათხევადებას ახდენსო.

ნ. თაბუკაშვილი არასწორად, ბუნდოვნად წარმოქმნილია წინადადებებსაც; ასე მაგალითად, „ზოგი ადამიანი კულტურის დაბალი მოქმედების ან სხვა დროს ღებულობს მეტ საკვებს“, „საყუათო ნივთიერებები არის ცილები, ცხიმები, პური, ბოსტნეული კულტურები“, „ცხიმოვან ნივთიერებებს შლის ფერმენტი ამონომეჯავები და ცხიმები დალაგდება კანქვეშ“ და სხვ.

მასწავლებელმა დაავალა კლასს: შეისწავლეთ კუჭში საჭმლის მონელება და დაუსახელა სახელმძღვანელოს 134—137-ე გვერდები; ამ გვერდებზე მოცემული მასალიდან კი ერთი სიტყვაც არ აუხსნია.

დაბა ქარელის მუშა ახალგაზრდობის სკოლაში ქიმია-ბიოლოგიის სწავლების გასაუმჯობესებლად საჭირო იქნება გარკვეულ ორგანიზაციულ ღონისძიებათა გატარება.

### გეოგრაფია

გეოგრაფიის სწავლება დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ქ. ჭიათურის მეორე და დაბა აგარის მუშა ახალგაზრდობის სკოლებში (მასწავლებლები ქ. მჭედლიშვილი და გ. დათეშიძე). აქ მასწავლებლები სისტემატურად ემზადებიან გაკვეთილებისათვის, იმალდებიან საკუთარ პროფესიულ კვალიფიკაციას, კარგად ფლობენ საგანს და მისი სწავლების მეთოდებს. ამის შედეგად, მოსწავლეებსაც მკვიდრი, პროგრამით გათვალისწინებული ცოდნა-ჩვევები აქვთ.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება გეოგრაფია ქ. ჭიათურის წასრის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში (მასწავლებელი ნ. ბრაგვაძე). აქ მეათე კლასი საღამოს (ცვლის) სკოლის სასწავლო პროგრამით არ მუშაობს. შემოწმების დღეს მოსწავლეებს საშინაო დავალებად ჰქონდათ მიცემული „რსფსრ-ის ცენტრალური რაიონი“. მოსწავლეები ნაცვლად 12 სამრეწველო რაიონისა, ასახელებენ 7 ოლქს. მასწავლებელი ნ. ბრაგვაძე არ ასწორებს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს. დაბალია მოსწავლეთა მომზადება გეოგრაფიაში.

ასეთივე არასახარბიელო მდგომარეობაშია გეოგრაფიის სწავლება აგრეთვე ქ. ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის მეოთხე სკოლაშიც (მასწავლებელი რ. გაფრინდაშვილი).

სწავლებლის  
გეოგრაფიის  
მეოთხე სკოლაში

გეოგრაფიის სწავლების გასაუმჯობესებლად, ამ საგნის მასწავლებელთა მუშაობის გარდაქმნის გარდა, საჭიროა თვალსაჩინო მასალებით სკოლების უზრუნველყოფა.

ნაკლოვანებანი, რომელთაც ცალკეული საგნების სწავლებასა და საერთოდ სკოლების მთელ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში აქვს ადგილი, მნიშვნელოვანწილად შეპირობებულა იმითაც, რომ სკოლების დირექტორები და მათი მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში არასაკმაო კონკრეტულ, კვალიფიციურ ხელმძღვანელობას ახორციელებენ სკოლების მუშაობაზე.

საყოველთაოდ ცნობილი და მასწავლებელთა მუშაობაზე ხელმძღვანელობის დახმარებისა და კონტროლის ისეთი აუცილებელი ფორმაც კი, როგორცაა გაკვეთილების მოსმენა, ან სრულიად უგულვებელყოფილია (ქ. ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის 1-ლი და წასრის სოფლის ახალგაზრდობის სკოლები) ან ზოგჯერ აუცილებლად საჭირო ყურადღებით არ სარგებლობს (დაბა ქარელისა და ქ. ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის III სკოლები); ასე მაგალითად, როგორც ზემოთ იყო მოხსენებული, დაბა ქარელის სალამოს სკოლაში ძლიერ ცუდადაა დაყენებული ქიმი-ბიოლოგიის სწავლება. ნაცვლად იმისა, რომ გაეძლიერებინა ხელმძღვანელობა ამ საგნების სწავლებაზე და ყოველდღიური პრაქტიკული ღონისძიებანი განეხორციელებინა ამ მიზნით, სკოლის დირექტორი ალ. კირკიტაძე ქიმი-ბიოლოგიის მხოლოდ 2 გაკვეთილის მოსმენით დაკმაყოფილდა და ამით „შეასრულა“ თავისი მოვალეობა.

სკოლების დირექტორები და სასწავლო მუშაობის დარგში მათი მოადგილეები არ სწავლობენ ცალკეული კლასების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას, შესასწავლად ცალკე არ გამოყოფენ სასწავლო საგნებს კლასების მიხედვით და არ იხილავენ შედეგებს პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე. მასწავლებელთა გაკვეთილების მოსმენა ხდება წინასწარ მოთქმებული გეგმის გარეშე და ხშირად იგი შემთხვევითი ხასიათისაა.

ქ. ჭიათურისა და ქარელის რაიონის განათლების განყოფილებებს (ამხ. ამხ. გ. ცხადიაშვილი და ნ. გოგიჩაშვილი) დროულად აქვთ შესწავლილი სალამოს (ცვლის) სკოლების მუშაობა, მა-

გრამ არასაკმაო ღონისძიებანი ხორციელდება გამოვლინებულ ნაგ-  
ლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

შედეგები პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური სან-  
ქოს პრეზიდიუმის, საქართველოს ალკკ ცკ-ის ბიუროსა და საქარ-  
თველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 15  
ივლისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობისა და საერ-  
თოდ სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესწავლი-  
სა ფართოდ გაეცნო თვითოეულ მასწავლებელს, სკოლების პედა-  
გოგიურ საბჭოებს და ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებს.

**ხ. დვალი**

**ზ. რატიშვილი**

**თ. ბისეიშვილი**

**მ. მანდარია**

**თ. გოდაბრელიძე**

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ.  
5 თებერვლის ბრძანება № 73**

**ქ. ჭიათურასა და ქარელის რაიონში 1967/68 სასწავლო წელს  
სალამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების  
მოსწავლეთა კონტინენტის სახალხო მეურნეობის გეგმის  
შესრულების მდგომარეობის შესახებ**

ქ. ჭიათურასა და ქარელის რაიონში გარკვეული მუშაობა ტარდება სალამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზით უზრუნველყოფისა და 1967/68 სასწავლო წელს კონტინენტის სახალხო მეურნეობის გეგმის შესასრულებლად.

ამ მხრივ გამოირჩევა ქ. ჭიათურას მუშა ახალგაზრდობის მეორე სკოლა (დირექტორი ე. ფალავანდიშვილი), რომელსაც უშენდება ტიპიური სასკოლო შენობა და 150.000 მანეთი აქვს გამოყოფილი დგამ-ავეჯისა და კაბინეტ-ლაბორატორიების ხელსაწყო-იარაღების შესაძენად. ამ სკოლაში წარმატებით შესრულდა კონტინენტის სახალხო მეურნეობის გეგმაც: ნაცვლად 12 კლასისა 241 მოსწავლით, მუშაობს 14 კლასი, რომელშიც 269 მუშა ახალგაზრდა სწავლობს.

მაგრამ ყველგან როდია ასეთი მდგომარეობა. ქ. ჭიათურაში 1967/68 სასწავლო წელს უნდა მუშაობდეს 5 სკოლა, 39 კლასით და 750 მოსწავლით; ფაქტიურად მუშაობს 5 სკოლა 37 კლასით და 709 მოსწავლით.

ანალოგიური მდგომარეობაა ქარელის რაიონშიც, სადაც წელს დაგეგმილი იყო 3 სკოლა, 14 კლასით და 279 მოსწავლით. ფაქტიურად არის 3 სკოლა, რომლის 13 კლასში 221 ახალგაზრდა სწავლობს.

წარმოებაში დასაქმებული საშუალო და რვაწლიანი განათლების არმქონე ახალგაზრდების აღრიცხვის, მათთან მუშაობისა

და სწავლებაში ჩაბმის თვალსაზრისით კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა ცალკეულ სკოლებში.

ამ მხრივ სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის მეოთხე სკოლა (დირექტორი ი. ბაქრაძე). სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს არ აღმოაჩნდა თავის მომსახურების ტერიტორიაზე მცხოვრები საშუალო და რვა კლასის განათლების არმქონე ახალგაზრდების აღრიცხვა. მიმდინარე სასწავლო წელს ამ სკოლაში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9 კლასისა (183 მოსწავლით), მუშაობს 6 კლასი (123 მოსწავლით).

სახალხო მეურნეობის გეგმა შესრულებული არ არის აგრეთვე ქ. ჭიათურის მესამე სკოლაში (დირექტორი ზ. გაფრინდაშვილი), მიუხედავად იმისა, რომ მის მიკრორაიონში აღრიცხულია 248 რვაწლიანი და 27 საშუალო განათლების არმქონე მოზრდილი (1935 და შემდგომ წლებში დაბადებული) მოქალაქე.

კონტინგენტის გეგმა არ არის შესრულებული აგრეთვე დაბა ქარელის მუშა ახალგაზრდობის სკოლაში (დირექტორი ალ. კირკიტაძე), სადაც 104 მოსწავლის ნაცვლად (6 კლასით), სწავლობს 89 (5 კლასით) ახალგაზრდა.

სრულიად არასაკმაო აღმზრდელობითი მუშაობა ტარდება სწავლებაში ჩაბმული კონტინგენტის შესაწარმუნებლად, რაც ერთ-ერთი მიზეზი ხდება სკოლებიდან მოსწავლეთა დიდი რაოდენობით გასვლისა; ასე მაგალითად, სასწავლო წლის პირველ მეოთხედში დ. ქარელის მუშა ახალგაზრდობის სკოლის 21 მოსწავლე ამოირიცხა სიიდან გაკვეთილებზე გამოუცხადებლობის გამო.

ნაკლოვანებანი კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულების საქმეში მნიშვნელოვანწილად შეპირობებულია სკოლისა და წარმოების ერთობლივ ღონისძიებათა გაუტარებლობით: დღემდე ადგილებზე შედგენილი არ არის 16—30 წლის ასაკის ახალგაზრდების ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის ღონის ამალლების პერსპექტიული გეგმები, არ არის შემუშავებული თვითეული წარმოება-დაწესებულებისათვის ახალგაზრდების სწავლების გეგმიური დავალებანი, ცალკეულ საწარმოებს დაწესებული არა აქვთ ამა თუ იმ პროფესიის მუშებისათვის აუცილებელი ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის მინიმუმი, შექმნილი არ არის საღამოს სკოლებისათვის დამხმარე ხელშემწყობი კომისიები და სხვ.

ქ. ჭიათურისა და ქარელის რაიონის განათლების განყოფილებებს და საღამოს (ცვლის) სკოლებს სრულიად არადამაკმაყოფ.



ფილებელი მუშაობა აქვთ ჩატარებული საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 19 იანვრის № 60 ბრძანებით „1966/1967 სასწავლო წელს რესპუბლიკაში საღამოსა და დამატებითი სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულების მდგომარეობის შესახებ“ — შესასრულებლად. საკითხი არ არის განხილული არც სახალხო განათლების საბჭოებისა და არც სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე: განათლების განყოფილებებს დღემდე არ გამოუგზავნიათ სამინისტროსათვის მათ მიერ აღნიშნული ბრძანების შესასრულებლად ჩატარებული მუშაობის გასული წლის 1-ელ ოქტომბრამდე წარმოსადგენი ანგარიში.

**ვ რ ძ ა ნ ე ბ**

1. ქ. ჭიათურისა და ქარელის რაიონის საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დირექტორებმა:

ა) გაატარონ საჭირო ღონისძიებანი საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ამჟამად არსებული მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად და ახალი სასწავლო წლის კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმის შესასრულებლად;

ბ) მიაღწიონ ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროუკავშირული და კომკავშირული ორგანოების მეტ დაინტერესებას საღამოს (ცვლის) სკოლების მუშაობისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი გამდიდრება-გაფართოებით;

გ) მტკიცე, საქმიანი კავშირი განახორციელონ ფაბრიკა-ქარხნების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებთან, მათთან ერთად შეადგინონ 16—30 წლის ასაკის ახალგაზრდების ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ამაღლების პერსპექტიული გეგმები და შეიმუშაონ თვითეული წარმოება-დაწესებულების ამა თუ იმ პროფესიის მუშებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის მინიმუმი და სხვა;

დ) მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელო მითითებებით საღამოს (ცვლის) სკოლებში მოსწავლეთა შენარჩუნებისა და კონტინგენტის გეგმის შესრულების შესახებ.

2. ქ. ჭიათურისა და ქარელის რაიონის განათლების განყოფილებებმა გაატარონ საჭირო ღონისძიებანი ამ ბრძანებაში მითითებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ და ახალ სასწავლო წელს

სადამოს (ცვლის) სკოლების კოტინგენტის სახალხო მეურნეობის  
გეგმის შესასრულებლად.

3. აღინიშნოს, რომ ქ. ჭიათურისა და ქარელის რაიონების  
განათლების განყოფილებათა გამგეები ამხ. ამხ. გ. ცხადიაძვილი და  
ნ. გოგიაშვილი არასაკმაო პასუხისმგებლობით მოეკიდნენ განათ-  
ლების სამინისტროს 1967 წლის 19 იანვრის № 60 ბრძანებით გა-  
თვალისწინებულ ღონისძიებათა გატარებას.

4. ქ. ჭიათურისა და ქარელის რაიონის განათლების განყო-  
ფილებებმა ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ გა-  
ნათლების სამინისტროს მოახსენონ ა/წ 20 ივნისამდე.

5. სადამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ამხ.  
რ. კანდელაკმა) განახორციელოს მეთვალყურეობა ამ ბრძანების  
შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლე-  
გიის 1968 წლის 26 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ. 7 თებერვლის ბრძანება № 94

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი-  
ხადმი მიძღვნილი მერვე რესპუბლიკური კონკურსის—„ნორჩ ნა-  
ტურალისტთა დახმარება სკოლას“—შედეგებისა და მე-9 რეს-  
პუბლიკური კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

მერვე რესპუბლიკური კონკურსის—„ნორჩ ნატურალისტთა  
დახმარება სკოლას“—ჩატარებამ დიდად შეუწყო ხელი სოფლის  
მეურნეობის სხვადასხვა დარგის შესწავლით დაინტერესებული  
მოსწავლეების გამოვლინებას.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო 48 ქალაქისა და რაიონის  
512 სკოლისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების 560 ნორჩ ნა-  
ტურალისტთა წრემ და 15 ათასამდე ნორჩმა ნატურალისტმა. კონ-  
კურსის შემაჯამებელ რესპუბლიკურ გამოფენაზე წარმოდგენილი  
იყო მოსწავლეთა 11.268 ნამუშევარი.

ზოგიერთმა სკოლამ და სკოლისგარეშე დაწესებულებამ საი-  
უბილეო კონკურსისათვის მზადების პერიოდში გააუმჯობესა ნორჩ  
ნატურალისტთა შორის მუშაობა. ყურადღება მიექცა სკოლებსა  
და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ცდა-დაკვირვებების ჩატა-  
რებასა და სასკოლო მიწის ნაკვეთებზე მოწინავე აგროტექნიკის  
გამოყენებას.

ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურმა სადგურმა მოაწყო  
შემაჯამებელი გამოფენა. წარმოდგენილ ექსპონატთა გარკვეული  
ნაწილი იყო სრულფასოვანი და ხარისხიანი. კონკურსზე კარგი  
ექსპონატების წარმოდგენით გამოირჩეოდნენ: აჭარის ასსრ ნორჩ-  
ნატურალისტთა სადგური (დირექტორი ა. მიქელაძე), სამხრეთ ოსე-  
თის ა/ო ნორჩ ნატურალისტთა საოლქო სადგური (დირექტორი  
მ. თედევი), ლაგოდეხის რაიონის ორჯონიკიძის (დირექტორი ნ.  
ლობჯანიძე), თბილისის 77-ე (დირექტორი გ. კობახიძე), მცხეთის

-რნის გალავნის (დირექტორი ო. მჭედლიშვილი), ხაშურის რ-ნის ქვეშეხეთის (დირექტორი გ. მანჩხაშვილი), მცხეთის რ-ნის მისაქ-ციელის (დირექტორი ს. ლაშხაური), ქარელის რ-ნის ბრეთის რ-ნის რექტორი ი. ბაბილოძე), გორის რ-ნის მერეთის (დირექტორი გ. მარიაშიძე), შინდისის (დირექტორი გ. თუშიშვილი), საგარეჯოს რ-ნის გიორგიწმინდის (დირექტორი ნ. კველიშვილი), გარდაბნის რ-ნის სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი გ. წიქარიშვილი) რვაწლიანი და სამუშაო სკოლები.

აღსანიშნავია ლაგოდეხის რაიონის შრომის, ნინიგორის, ბაი-სუბნის, აფენის, ყვარლის მე-2, ყვარლის რაიონის საბუხის, ამბრო-ლაურის რაიონის ლიხეთის, სამტრედიის-1-ლი, სამტრედიის რაი-ონის საჯავახოს, მელაურის, დუშეთის რაიონის ფასანაურის, თან-დილაანთკარის, ჭილურტის, ბაზალეთის, ჭობორტის, ლაფანაანთ-კარის, დუშეთის რუსული, სიღნაღის რაიონის ბოდბეს, ნუკრია-ნის, ბოდბისხევის, წალენჯიხის რაიონის მედანის, ნაკიფუს, ჯგა-ლის; ასპინძის რაიონის რუსთავის, იდუმალის, აწყვიტის, ჭობა-რეთის, დამალის, ხიზაბაგრის, ტოლოშის, ასპინძის, ახალციხის რაიონის ვალეს, თიანეთის რაიონის ჩიკურაანთგორის, თელავის რაიონის სანიორეს ბათუმის მე-16; გარდაბნის რაიონის გლდა-ნის, გორის რაიონის ხელთუბნის, ქახვრელის, ზელდულეთის, ბებ-რუკის, ტირძნისის, აძვის, ქუთაისის მე-5, ქარელის რაიონის აბა-ნოს, დვანის, ხეობის, ძღვევისჯვრის, ზღუდრის, რუისის მე-2, ავ-ლევის, ქვემოხვედურეთის, ცხინვალის სკოლა-ინტერნატის, ცხინ-ვალის რაიონის ქსუისის, ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩ მეყვავილეთა, ტექნიკურ მცენარეთა შემსწავლე-ლი, ნორჩ ზოოლოგთა, დაწყებითი კლასების, აჭარის ასრ ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩ აგროქიმიკოსთა, ნორჩ სუბტროპიკოსთა, ნორჩ მეყვავილეთა, ნორჩ მებადეთა, ნორჩ დეკორატორთა, ქ. ქუთაისის ნორჩ ნატურალისტთა საქალაქო სად-გურის ნორჩ ნატურალისტთა წრეების მუშაობა.

მიუხედავად კონკურსისათვის მზადების პერიოდში ჩატარე-ბული ერთგვარი მუშაობისა, რესპუბლიკური კონკურსისათვის მზადებისა და ჩატარების პერიოდში მაინც ჰქონდა ადგილი ნაკლო-ვნებებს. კონკურსში რესპუბლიკის სკოლების დიდი ნაწილი არ იღებდა მონაწილეობას. კონკურსზე წარმოდგენილ ყველა ექსპო-ნატს არ ახლდა თან ცდისა და დაკვირვების დღიურები, აღწერი-ლობანა;

კონკურსში მონაწილეობა არ მიუღიათ: ყაზბეგის, ბორჯომის, წალკის, ახალქალაქის, ზოგდანოვების, ბოლნისის, მესტიისა და ოტუმბურის რაიონების სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს. ამ ღონისძიებაში ვერ ჩააბეს საკმაო რაოდენობით სკოლები და სკოლისგარეშე დაწესებულებანი ქ. ჭიათურის, საჩხერის, წითელწყაროს, გურჯაანის, თიანეთის, კასპის, თეთრიწყაროს, ლანჩხუთის, ხობის, აბაშისა და ჩხოროწყუს რაიონების განათლების განყოფილებებმა.

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

**I. კონკურსში „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“ წარმატებით მონაწილეობისათვის დაჯილდოვდეს სკოლები და სკოლისგარეშე დაწესებულებები პირველი ხარისხის დიპლომით:**

ნორჩ-ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური, აჭარის ასსრ და სამხრეთ ღსეთის ა/ო ნორჩ ნატურალისტთა სადგურები; ახმეტის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი; ლაგოდების რაიონის ორჯონიკიძის, გარდაბნის რაიონის სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის, მცხეთის რაიონის გალაგნის, მისაქციელის, მუხრანის, ქარელის რაიონის რუისის, ბრეთის, ბრეთის საბჭოთა მეურნეობის, გორის რაიონის კარალეთის, მერეთის, მეჯვრისხევის, პატარა მეჯვრისხევის, შინდისის, ძვერის, ქვეშის, ვარიანის, ბერშუეთის, თელავის რაიონის წინანდლის, ფშავლის, რუისპირის, საგარეჯოს რაიონის გიორგიწმინდის, მანავის მე-2, საგარეჯოს 1-ლი, მე-2, ორჯონიკიძის რაიონის ვახანის, ხაშურის რაიონის ქვიშხეთის, ვაყის; ზესტაფონის რაიონის მე-2 სვირის, გურჯაანის რაიონის ბაკურციხის, კაჭრეთის, ღუშეთის რაიონის საკრამულის, ლანჩხუთის რაიონის ჩოჩხათის, ახმეტის მე-2, ქ. თბილისის მე-10, 19-ეა 77-ე, 132-ე რეაწლიანი და საშუალო სკოლების ნორჩ ნატურალისტთა წრეები.

**II. დაჯილდოვდეს სკოლები და სკოლისგარეშე დაწესებულებები მეორე ხარისხის დიპლომით:**

თელავის რაიონის აკურის, ვანთის, ნაფარეულის, სამტრედიის მე-3, აბაშის მე-2, ზესტაფონის რაიონის არგვეთის, ღუშეთის რაიონის ჭართლის, მცხეთის რაიონის ბიწმენდის, ძალისის, წალენჯიხის რაიონის ლიის, სიღნაღის რაიონის ჯუგაანის, ლანჩხუთის რაიონის ქვიანის, ასპინძის რაიონის სარის, ნაქალაქევის,

რუსთავის მე-10, ონის რაიონის შეუბნის, ონის საბავშვო სახლის  
თიანეთის რაიონის ეებოტის, ახმეტის რაიონის საქობიანის საჯარო  
ჯოს რაიონის კაკაბუთის რვაწლიანი და საშუალო სკოლები  
ნატურალისტთა წრეები.



III. დაჯილდოვდნენ პირველი ხარისხის დიპლომითა და ფასიანი  
საჩუქრებით (სამი მანეთის ღირებულების ლიტერატურით)  
მოხწავლეები:

1. ლობჯანიძე ჯუმბერ—ლაგოდეხის რაიონის ორჯონიკიძის  
საშუალო სკოლა
2. ლობჯანიძე გიული—ლაგოდეხის რაიონის ორჯონიკიძის  
საშუალო სკოლა
3. გულბათაშვილი თამარ—მცხეთის რაიონის გალავნის სა-  
შუალო სკოლა
4. ძამუნაშვილი თამარ—თელავის რაიონის წინანდლის სა-  
შუალო სკოლა
5. დოღმაზაშვილი მზია—თელავის რაიონის რუისპირის სა-  
შუალო სკოლა
6. ჯოჯოშვილი მაყვალა—ქარელის რაიონის ქვემოხვედურე-  
თის 8 წლიანი სკოლა
7. მანჩხაშვილი მედეა—ხაშურის რაიონის ქვიშხეთის საშუა-  
ლო სკოლა
8. მოხელიშვილი ნათელა—მცხეთის რაიონის მისაქციელის სა-  
შუალო სკოლა
9. გელაშვილი მერაბი—მცხეთის რაიონის მისაქციელის სა-  
შუალო სკოლა
10. ხუროშვილი თეიმურაზ—მცხეთის რაიონის მისაქციელის  
საშუალო სკოლა
11. გარსევანიშვილი ნანი—გორის რაიონის შინდისის საშუ-  
ალო სკოლა
12. გელაძე ნაზიბროლა—აჭარის ასსრ ნორჩ ნატურალისტთა  
რესპ. სადგური
13. დუმბაძე ვალერი—აჭარის ასსრ ნორჩ ნატურალისტთა  
რესპ. სადგური
14. გორგიშელი აკაკი—გორის რაიონის მერეთის საშუალო  
სკოლა

16. დარისპანაშვილი გელა—საგარეჯოს რაიონის გიორგიწმინდის 8 წლიანი სკოლა
17. კველიშვილი გივი—საგარეჯოს რაიონის გიორგიწმინდის 8 წლიანი სკოლა
18. ზუკაკიშვილი მარიამ—საგარეჯოს რაიონის პატარძელის საშუალო სკოლა
19. კილასონია ლილი—ქარელის რაიონის აბისის საშუალო სკოლა
20. ცინაძე თამარ-თერჯოლის რაიონის თავასის 8 წლიანი სკოლა
21. ქოჩიევი დავით—ლაგოდეხის რაიონის ორჯონიკიძის საშუალო სკოლა
22. კაველაშვილი ამირან—ლაგოდეხის რაიონის ორჯონიკიძის საშუალო სკოლა
23. მაზიაშვილი სიმონ—გორის რაიონის შინდისის საშუალო სკოლა
24. ხაბეიშვილი დავით—ბათუმის მე-16 საშუალო სკოლა
25. ჯიბუტი ტატიანა—აჭარის ასსრ ნორჩ ნატურალისტთა სადგური
26. პაპუნაშვილი ნანა—აჭარის ასსრ ნორჩ ნატურალისტთა სადგური
27. ციცავი ვაჟა—გორის რაიონის ქვეშის საშუალო სკოლა
28. ზარბიძე გიორგი—გორის რაიონის მერეთის საშუალო სკოლა
29. ჯანიაშვილი თემურ—გურჯაანის რაიონის ბაკურციხის საშუალო სკოლა
30. ფოციტაშვილი ალექსანდრე—გურჯაანის რაიონის ბაკურციხის საშუალო სკოლა
31. აღუაშვილი ვასილ—გორის რაიონის კარაღეთის საშუალო სკოლა
32. გოგიაშვილი ლეილა—გორის რაიონის კარაღეთის საშუალო სკოლა
33. რთველიაშვილი ვახტანგ—გორის რაიონის მეჯვრისხევის საშუალო სკოლა
34. კოვზაშვილი თინა—გორის რაიონის მეჯვრისხევის საშუალო სკოლა
35. ჭიაბრიშვილი ცისანა—საგარეჯოს რაიონის გიორგიწმინდის საშუალო სკოლა

36. მოსიძე მერი—თელავის რაიონის ფშავლის საშუალო სკოლა
37. იჩუკაიძე გულნარა—თელავის რაიონის ფშავლის საშუალო სკოლა
38. ჩანადირი ნინო—მცხეთის რაიონის მისაქციელის საშუალო სკოლა
39. ბრაჭული შოთა—მცხეთის რაიონის მისაქციელის საშუალო სკოლა
40. ელიაშვილი გურამ—მცხეთის რაიონის მისაქციელის საშუალო სკოლა
41. თათარაშვილი მარინე—მცხეთის რაიონის მისაქციელის საშუალო სკოლა
42. ყურთაშვილი ელენე—მცხეთის რაიონის მისაქციელის საშუალო სკოლა
43. ძერია გულო—ასპინძის საშუალო სკოლა
44. გონაკანიანი სარგის—ასპინძის რაიონის დამალის საშუალო სკოლა
45. ჩხეიძე თამაზ—ქ. თბილისის 132-ე საშუალო სკოლა
46. ცხოვრებოვი ნაირა — ქ. თბილისის მე-10 საშუალო სკოლა
47. ბაზერაშვილი ნანი—გურჯაანის რაიონის კაჭრეთის საშუალო სკოლა
48. მექერიშვილი ცოცნა—ხაშურის რაიონის ვაყის საშუალო სკოლა
49. ქარქოსაშვილი ლუდმილა—მცხეთის რაიონის მუხრანის საშუალო სკოლა
50. გალსტიანი ლევან—ასპინძის რაიონის დამალის საშუალო სკოლა
51. დოლიაშვილი ზურაბ—თიანეთის რაიონის ყებოტის 8 წლიანი სკოლა
